

განთიადი

ორკვირული სამეცნიერო, სა-
ლიბრატურო და საკოლიტიკო
ჟურნალი.

1 მარტი 1915 წ.

შინაარსი.

1. სიკვდილი, დასასრული, აკაკისა.
2. სიტყვა, კიტა აბაშიძისა.
3. სიტყვა, ქუთაისის ქალაქის თავისა.
4. სიტყვა, ეპისკოპოზი ლეონიდისა.
5. სიტყვა, ტაშიბაშვილისა.
6. სიტყვა, თათვეოსიანისა.
7. ლექსი, დუტუ მეგრელისა.
8. ლექსი, ვესევი ლოსაბერიძისა.
9. მოგონება, დასასრული, ივ. ი.-ნისა.
10. ტუსალის აღსარება, დიაჩიანელისა.
11. იძულებითი განმარტება იაკ. დან-ცხავასი.
12. კრიტიკა, ხომლელისა.
13. შენიშვნები, ს. ჭავთარაძის ლექციის გამო, ვლ. ემუხვარისა.
14. ოფუტჩხეთში აკაკის სამკითხველოს დაარსება—ისოსი.

ქუთაისი

სტამბა ი. ხელაძისა, 1915 წ.

ორკვირული საბოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

სიკვდილი.

სამარეში სულიც თან ჩამყვა და გამიკვირდა. „ოი! — იოი!“ — შემომძახა ვილაკამ — „ეინ ხარ, რომ თავზე მაწვები და ძვლებს მამტვრევო“?

— თვითონ შენ ვინა ხარ, რომ მაგრე ოხრავ და კენესი? — დავეკითხე მეც.

— მეე? დიდი ხნის მკვდარი!.. აქაური მიწის შვილი ნუ გგონივარ! ჩემისთანებზეა ნათქვამი: „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესო?“

— როგორც ვხედავ, მაგისთანა ანდაზა ერთი მეც მერგო ახლა: „ვერიდებოდი ლოლოსო, დამხვდა სოფლისა ბოლოსო!“ მე იქ, მალლა მუხარებოდი და შენ კი აქ, დაბლაც დამიხვდი?

— ვინ მოგიწვია? მე აქ ჩემთვის. აგერ ოთხმოცი წელიწადია, მარტო-მარტო ვწევარ და არავის შეუწუხებებივარ.

— ჩემი ნებით არც მე ჩამოსულვარ! რალა გაეწყობა, უნდა მოვითმინოთ და გავიტანოთ ერთმანეთი; მარა ეს კი უნდა მითხრა: თუ მართლა ამდენი ხნის მკვდარი ხარ, აქამდის გზა ველარ გაიგენი საიქიოსკენ?

— ვიყავი, მარა არ მიმიღეს... დამაბრუნეს, შენ იქ სისხლში გასვრილი ხარ და არაყით გაგებანიო!.. გაწმენდა გეჭირვებო. საკანონო დამღვეს და აქვე გამოგზავნეს. ერთი საუკუნე უნდა დავრჩე და, მერე, უნდა კი გავუღვე გზას... ოცი წელიწადი კიდევ მიკლია, მარა, ღვთის მადლით, დრო მალე გარბის.

— ღმერთმა ვისმინოს და გზა შეიღობისა მოგცეს! მაინც რას აკეთებ ამ ქვეყნათ?

— არაფერს, ღლე აქა ვწევარ და ღამე

კი, ღლე და ღამის გაყრიდან მამლის ყვილამდე, მალლა დავტანტალობ. როგორც მავნე და მოჩვენება, ხალხს ვაფრთხობ და ქვეყანას ვაშინებ.

— ვერაფერი ხელობა გქონია! თუ იცი მე რამდენ ხანს უნდა დავრჩე აქ?

— ორმოც ღლეს, რომ ცოდვილ დედამიწას საუკუნოთ გამოეთხოვო, მტერსა და მოყვარეს სათითაოთ უნდა დაუარო, რომ ზოგს შენდობა მისცე და ზოგს შენვე მოთხოვო. მაშინ გაიწმინდები და აქაური ქუჩი საიქიოს აღარ მიგყვებო.

ამ საუბარში ჩვენ კიდევ შემოგვადამდა. ღლე-ღა-ღამე გაიყარა და ჩემი მეზობელი ამოძვრა მალლა. მეც თან ამოვცევი, მარა ის თავისთვის წავიდა და მე ჩემთვის. ყველაზე უმალ მე ჩვენი სტამბისკენ გავექანე. მუშები მოწყენით დამიხვდენ: ჩემზე ჩამოგდლოთ საუბარი.

— „ჰე, ახლა ხომ გეშველა? სულ იმას წუწუნებდი: იმის ხელს ვერ ვარჩევ და ბევრ დროს მაკარგვინებსო! მორჩი და მოისვენე“, — უთრხა ერთმა მეორეს.

— „შე კაცო, გულის წყრომის დროს, რასაც კაცი იტყვის, განა ყველა მართალია? ნეტა, ის არ მომკვდარიყო და მე შრომა ერთი-ათათ მომმატებოდაო“, უბასუხა მეორემ. „მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! მეც შემხვედრია მისი სტატიის აწყობა, გაეჭირვებია ამოკითხვა, მარა მაგიერათ ბოლოს სიამოვნებაც მიწახავსო“ — დამატა მესამემ. ახლა კი ველარც მის სტატიას ავაწყობ და ველარც სხვებისასო“. „რატომო?“ — კითხეს. „რატომ და სტამბიდან გამომაგდესო. ისეთი სტატია მოიტანეს განსვენებულზე, რომ მე აწყობა შემეზიზნა და უარი ვთქვიო. ჯერ ვითომ ქე-

ბით იყო დაწყებული, მარა ბოლოს კი ისეთი ლანძღვით თავდებოდა, რომ ქებას აქარწყლებდა და გინებას აორკვებდაო. გამომავდეს... რა გაეწყობა! თუ ვიზოვნე სხვაგან ადგილი, ხომ კარგი; თუ არა და შინ ვავუდგები გზას გურიისკენ, ღომი ბევრი მეშოვება და ღობიო“, — თქვა, ამოიხენეშა და გაჩუმდა. მე მისმა სიტყვებმა შემაწუხა. „ღმერთმა გიშველოსთ-მეთქი“ — გავივლე გუნებაში და გამოვვდი გარეთ. პირდაპირ ერთი რედაქციისკენ წავედი. რედაქციაში თავი მოეყარათ ყველა თანამშრომლებს. ერთი მათგანი რედაქტორის თანამშრომელს ეუბნებოდა:

— მაშ არ დაბეჭდავთ?

— არა!

რა მიზეზია?

— ის, რომ ურიგობაა ახლა მაგისტრანთა სტატიების წერა! ისევ თფილია, ჯერ კარგათ არ გაცივებულა და შენ კი თავზე ქვა გუნდას აყრი; ამას არც მტერი მოგიწონებს და არც მოყვარე.

— შენ სიცოცხლეშიაც არ ყოფილხარ მაინცა და მაინც მისი წინააღმდეგი და ახლა ხომ სულ... მომეცი ჩემი სტატია, რომ თვითონ რედაქტორს წავაკითხო... მომწყინდა მათი ყურის გდება და შევძვერი რედაქტორის ოთახში. რედაქტორი მოწყენილი მართო-მართო თავის თავს ესაუბრებოდა: „რამდენი ხანია ვიცნობდი და ჩემ დღეში მისგან პირად წყენა არ მახსოვს, საზოგადოთაც. მართალია ერთი მიზანი გვქონდა, მარა ის სულ სხვა ვზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს და. მაშ, რათ მძულდა? რათ მეჯავრებოდა? მარა ენის მიტან-მოტანა რა საძაგლოა რამ არის! მუშას რომ გადაატანიო რამე ერთი სახლიდან მეორემდი, განა იმას გზაში მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა: სულ სხვა ფერით გადადის და სხვა ხორცი. გონებამ ეს ყველაფერი იცის, მარა გული კი მაინც უსამართლო ენის ამყოლია. ეჰ, ვინ დიჯერებს, რომ მისმა სიკვდილმა მე ასე გული მატყინა!“ —

ამ დროს შევიდა თანამშრომელი და გადასცა სტატია. რედაქტორმა ჩამოართვა, გადაიკითხა რამდენიმე პუკარი, წარბები შე-

ქმუნა, გადასცა უკანვე და წყრომით უთხრა: ამის დაბეჭდვა არ შეიძლება, შენ არ გვსმის რა დროს, რა უნდა. ეს სტატია რომ დაბეჭდილიყო, მე შენ რედაქციაში არ დაგაყენებდი“. კულ-ამოძუებული თანამშრომელი გამოვიდა გარეთ ზუტუტით: „მოდო და გაუგე ახლა მაგათ თავი და ბოლო? ხან ასე და ხან ისეო. ჩემს ქირს თუ არ დაბეჭდვენ! სულ ერთია: მარჯვნივ ვიქნები, თუ მარცხნივ. მეორე სტატიაც ხომ მზათა მაქვს ამ სტატიის წინააღმდეგი. იმას მეორე რედაქციაში წავიღებ და სიხარულით დამიბეჭდვენ“. — თქვა და გასწია. დავედევნე მეც. რედაქციაში დიდი და პატარა ყველა დიდი შეწუხებული დაგვიხვდა. ჯერ კიდევ თვალზე ცრემლი არ შემრობოდათ. რედაქტორს კრიკა არ ესხნებოდა, თამამად შევიდა დაწუნებული სტატიის ავტორი რედაქციაში და ღიმილით გაუშვირა ხელი რედაქტორს. მარა რედაქტორმა არ ჩამოართვა და უთხრა: „სხვა რა არა იყოს-რა, ორი შენი ხნის მაინცა ვარ და მაგრე მედიდურათ რომ მიტურტურებ ხელს, როგორ არ იცი, რომ უზღედლობაა!..“

— „მე... მე... მე სტატია მოვიტანე მიცვალეზულზე“ — თქვა ცოტა შერცხვენილმა სტუმარმა.

— ქებაა, თუ გინება? დაეკითხა რედაქტორი.

— რასაკვირველია, ქება.

— მაშ, არ შეიძლება დაბეჭდვა. წაიღეთ უკანვე. თქვენისთანა კაცების ქება-დიდება იმას სიცოცხლეშიაც შეურაცხყოფათ მიაჩნდა და ახლა ხომ საფლავიდან ამოღება იქნება. შერცხვენილი მწერალი გამოვიდა გარეთ, რეტლასხეულივით დადგა ქუჩაზე და ამოიხენეშა: ჰეეე! აღარც იქით და აღარც აქეთ! ახია ჩემზე, რას ვერჩოდი განსვენებულს? ერთი საწყალი ვინმე ვიყავი, ბრუნდი და მართალი ყველა თავში მიფაჩუნებდა, იმან პირველათ შემნიშნა, თავზე ხელი დამისვა, გზაზე დამაყენა და მე კი ყველა ღრენით გადავუხადე? სულ ლუკმა პურის ბრალია. ღმერთმა დასწყევლოს სიღარიბე. არც ერთხელ საკუთრათ ჩემთვის მათრახი არ გადუქნევია, მარა მისი შორს გატყარცილი შოლტი, როგორც მე, ისე ჩემისთანებს ბევრს პირდაპირ

ხედებოდა. აი, თუ გინდა ეს, რომელიც გულიდან აღარ ამომშორდა:

„რას წუწკუნებს ის ზატარა მურას!
ხომ არ შიდა და ან ხომ არ სწუერას?“

გისი აზის და, ან სდაურას?
ქუტი, ქუტი, კუდი-ქიტინა მურას!..

რამ არ მოდის?.. თითქოს უმაღურას!..
რა უოფილას, სუდავთ, ბრიფი მურას?!

კიდევ რა უეფს!.. რადაც უცნაურას,
თათი, თათი, სალახანა, მურას!

მისი უეფა მხოლოდ მარტო მურას.
ვის აშინებს სსსაცილო მურას?!

მაგის ხერხი, — ერთი ლუკმა მურას:
გადაუგდებს, გაჩუმიდება მურას.

ვინც კადადებს, მისი შინაურას,
იმას მონებს და კუდს უქნევს მურას...

ან გი რა ქნას? ბუნებით უძღურას.
ქუტი, ქუტი! სსსაცილო მურას!

ლაქუტას კუდი-ქიტინა მურას,
თუ არ შიდა და, ან არც სწუერას...

„აი, ახლა ეს არავის არ შეეხება, მარა ბევრს კი მისი სარკე გონია და მეც გულში ისრათ მესობა. ჩანს რომ ალბათ მეც მურიო ძაღლი ვარ. ვიყო... ვიყო, ოღონდ კი თავი როგორმე გავიტანო. პატრონი ძაღლს ხან გაუჯავრდება, კარში გააგდებს— და ხან ისევ დაუძახებს და მოეფერება, ძაღლს რა უჭირს, სანამ ყველა კი შეუძლია და კუდის ქიციანი. ეჰ! წავალ ისევ ჩემ ძველ რედაქციაშიო“.

შემეზიზნა, მარა მინც შენდობა მივეცი და გავექანე „პურ-ღვინოსკენ“, რადგან ვახშ-მობამაც მოატანა. იქ ნაცნობები ვახშათ ისხდნ და მე მიგონებდნ. ჩემი ნათქვამი გაიმეორეს, იცინოდნ, ხარხარობდნ და დროს ატარებდნ. ერთმა მათგანმა აავსო ქიქა ლვინით: წაუქცია თავი და თქვა: „ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს, სამასი მანათი კი

გაყვა ჩემი საიქიოს, მარა შენდობილი იყო-სო! შევხედე თვალებში ურცხვით მოტრახახეს, მარა რაღას ვეტყოდი. ღმერთმა ხომ იცოდა, თვითონ გამომართვა ერთხელ სამი მანათი და აღარ დაუბრუნებია. სხვებმა ვითომ ჩემ ნათქვამათ, ანეგლოტები გაიმეორეს, მარა ყველა ჩემი არ იყო. რაც იყო ისიც დამახინჯებული. და „ღმერთმა შეგინდოს-მეთქი, — გავივლე გუნებაში გულნატკენმა და თავის დასამშენილებლათ წავედი პირდაპირ გულითად მეგობართან.

შევედი ოთახში, თუ არა, ის ვნახე, რაც სიცოცხლეში მეჯავრებოდა: ჩემს გულითად მეგობარს სხვა ვინმე უჯდა გვერდით და ანუ-გეშებდა: „კარგია, კმარა, არ გშენენის მოწყენა: შენ ცოცხლებზე იფიქრე, და მკვდარი ღმერთს ჩააბარე. წავიდა, მორჩა—ხომ ვერ დააბრუნებო?“

— შენ კარგათ იცი, ჩემო სიცოცხლეო, რომ მე ის შენსავით არ მყვარებია: ის მიყვარდა ისე, როგორც მახლობელი ნათესავი, და შენ კი... უთხრა აღერსით ქალმა და ჩაუღვა ხელი ხელში. კაცმა ხელზე კოცნა დაუწყა. მე გული დამწყდა, და სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, ფანჯარაზე დავაკაკუნე, შეკრთენ, წამოაცვინდენ ზეზე, კაცი მიღვა ფენჯვრთან, და რომ ვერაფერი დაინახა, თქვა: „ჩიტი უნდა ყოფილიყოსო“, გაბრუნდა და ისევ აღერსი დაუწყა ქალს. მე კიდევ პირვანდელზე უფრო ძალუმათ მივეხალე და მივეხალე ფენჯვრს. მაშინ კი მართლა დაფეთებული ქალი გულში ჩაუძვრა კაცს და იმანაც გასამხნეველათ ხელეები მოხვია, ვთქვი: თუ ისე დავფერთხე ესენი, მე საწუგეშოს ვერას ვნახავ-მეთქი; მოვსხლტი გულშეწუნებული და ისევ საფლავში ამოვყავი თავი.

ამ პირველმა დღემ ბევრი ვერა მასიამოვნა, მეორე ღამეს, მესამეს, მეოთხეს... ორმოცი დღის განმავლობაში სულ დავიარე, რაც ამ ქვეყნათ ნაცნობები მყავდა. ღმერთო, რა არ ვნახე? რა არ გავიგე? მტრებიც და მოყვრებიც სულ სხვა თვლით დავინახე, ავიც და კარგიც მხოლოდ ახლა გავარჩიე. იმათ ამბავს, ერთხელაც იქნება, მოგახსენებთ... მარა ახლა კი ყველას შენდობა მოვთხოვე და

გამოვეთხოვე ქვეყანას, შეორმოცე დილას მომიკითხა სულთამხუთავმა, შემვიღო ფრთაზე და ვამაქანა საიქიოსკენ.

ამიტაცა სულთამხუთავმა და გავფრინდით!.. შთვარეს ავცილდით, ვარსკვლავებს გვერდი ავუარეთ და მივაწყდით ერთ მნათობს: „აქ არის ქართველების სივანეო!“ — მითხრა ჩემმა წინამძღვარმა და შემიყვანა წალკოტში ქვეყნიურ ოცნებას არ შეუძლია წარმოიდგინოს მისი სიკეთე!.. თვალ-გადუწვდენელ ტალავერში ტახტზე ისხდენ ორ პირათ მეფე-დედოფლები. ყველაზე პირველი ადგილი ეჭირა კაცებში, დავით აღმაშენებელს, ქალებში თამარ მეფეს. მათ მახლობლათ იყვნენ: ვახტანგ გორგასლანი, ორი ბაგრატი, გიორგი ბრწყინვალე და სხვანი... რიგრიგათ იყვნენ ჩამწყვრივებული ღირსების დავარათ; ზოგიერთები ისე შორს იყვნენ, რომ ბუზის ოღნათაც აღარ მოჩანდენ... ირაკლი ვერსად შევნიშნე და, რომ ვიკითხე ასე მითხრეს: „სარდლების გუნდში გადავლა ინებაო“!

— გიორგი ვეთქი? — გიორგის მუცელი ტკივა და გორავს სულ ბოლოშიო“.

როცა მიმიყვანეს, თაყვანი ვეცი მეფეთამეფეს. დიდებულმა ჯერ ვინაობა გამომიკითხა და შერე მიბრძანა: „რასა იქმს და როგორ არი ჩემი ჰირნახული ქვეყანაო?“ — შემიძლია, ბევრი რამ მოგახსენოთ მის დიდებულ და საქებად წარსულზე; აგრეთვე ბევრი რამ გიმახარობლოთ და გიწინასწარმეტყველოთ მის საიმედო, უექველ მომავალზე. მარა აწყოზე ნურას მკითხავ, ჩემო ხელმწიფევ! შევევედრე მე.

როგორც გეტყობა, იმ ქვეყნიდანა ხარ!.. უზდლო, წარსული ამბავი ჩვენ უკეთ არ ვიციო! მომავალსაც შენ ჩვენზე უკეთ როგორ დანახავდი იმ ქვეყნიური ხორციელი თვლით? შენ მხოლოთ იმას გეკითხებით: დღეს რასა იქმს ჩვენი ქვეყანა?

— ვაი, თქმასა და ვაი, უთქმელობას!.. მოყვარეს რომ უნდა, ისე აღარ ვახლავთ, მარა არც-კი ისეა, როგორც მტერს უნდა.

— მაინც?

— რალა მაინც!.. ღვთის წყალობითა და

რუსეთის მეცადინეობით ნელ-ნელა იღვიძებს, მარა ჯერ კიდევ მაგრათ ვერ დამდგარა ვეზზე.

— რატომ?..

მოგეხსენებათ, ახლათ გამოღვიძებულზე სანამ კარგათ გამოირკვეოდეს, კაცი ბარბაცებს და უსწორმასწორათ ადგამს ბიჯს. და როდესაც მოიმარჯვებს ძალღონეს, მაროლომორწმუნე ერის შემწეობით... გამობრუნდება გასწორდება.

— მაშ, ჩემი ძველი ტაძრები, ჩემი ციხე-ქალაქებიც, მტრის აოხრებულები, ისევ ხელახლათ გაახლდებიან?

— უექველია, რადგანაც საძირკველი მთელი აქვთ!..

— ჩვენც მაგის იმედი გვაქვს!.. ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, ვისაც-კი ჩვენი საქართველოსთვის კეთილი სურდეს!.. სხვა კიდევ, რას იტყვი?

— თევზის ანდაზას.

— ჰო, შენით არ გინდა, რომ თქვა?

— კარგი იქნება, თუ თქვენვე მკითხავთ და მაპასუხებებთ.

რომ მოამისმინა დავით აღმაშენებელმა, ფიქრში ჩავარდა და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, მიუბრუნდა თამარს:

— დედოფალო მეფევ! შენ, მხოლოთ შენ, შეგშვენის, გამოკითხო დაწვრილებით ქვეყნის ამბავი ამ ახალ მოსულს.

თამარმა ღიმილით შეხედა, თითქოს შუქი მიაფინაო და მიუგო:

— დიდებულო მეფეთამეფევ! მხოლოთ ერთათ ერთი მზის ელვარება ფანტ-ვს ბნელს და აყენებს დღეს. მთვარე მხოლოთ ბნელში კაშკაშებს და წყნარათ ისვრის სხივებს, იმ სხივებს, რომელიც მზისგანვე წყალობათ მიუღია. ჩემი შუქი თქვენივე ანარეკლი ელვარებაა!

— არა, ჩემო ღირსეულო შეილის-შვილო! მე, როგორც მამასახლისს, საუნჯე გარედან შემიკრებია და ოჯახში შემომიტანია; შენ, როგორც ქვეყნის შესაფერ დისახლისს, მიგიღია, შეგინახავს, მოგივლია და სწორი თავდარიგი მიგიცია. შენ უჩემოთ და მე უშენოთ თითო სრული არ ვიქნებოდით, ნახევარ-

ნახევარი დავრჩებოდით. ისეთივე პირველობა შეგვეფერის მეფეთა შორის, როგორც მე, და მაშ, შენი ჭირნახული ქვეყნის ამბავი შენვე გამოკითხე.

— უმჯობესია. ჩემო მწყალობელო, ჩვენმა კარის კაცებმა ყველამ თავ-თავის ხელობის შესახებ გამოკითხოს და ჩვენ მოვისმინათ.

მოეწონა ეს რჩევა დავით აღმაშენებელს და გაგზავნეს შიკრიკი სარდლების გუნდში: „უპირველესი მათგანი გამოცხადდესო“.

ღაბრუნდა გაგზავნილი და მოახსენა: „სარდლებში დიდი უთანხმოება ვახლავთ, ბატონო! პირველობას ერთი-მეორეს უთმობდენ მხარგრძელები გამრეკელს, გამრეკელი კახაბერს, კახაბერი—ჭიაბერს და ყველა ერთათ კი გიორგი სააკაძეს შეყურებენ; გიორგი სააკაძე შორს იჭერს თავისპირველობას.“

— თავმდაბლობა გმირთა ბუნებაა! ბძანა აღმაშენებელმა და გაჩუმადა.

— რადგანაც ისინი ვერ შეთანხმებულან, კანონის მღებლებს მივანდოთ და იმათ გადაწყვიტონ ეგ საქმე, ურჩია თამარმა.

წინ წამოდგენ აღბულა ათაბაგი, გიორგი ბრწყინვალე და ვახტანგ მეექვსე; შევიდენ სარჩიელში. მარა იმათშიაც უთანხმოება მოხდა. აღბულას და გიორგი ბრწყინვალეს ვახტანგი არ დაეთანხმა.

— რა ამბავია?—ბძანა აღმაშენებელმა. — აქაც აღარ იშლიან ქართველები თავის იმ ქვეყნიურ ჩვეულებას?

— მეფეთ-მეფეო! მოახსენა ვახტანგმა, ესენი ასახელებენ გიორგი სააკაძეს. მართალია, ის გასაოცარი გმირი იყო და „მისი საქმენი საარაკონი“, მარა მის ღვაწლს ჩრდილი ფარავს.

— არა! შემცდარი აზრია! — თქვა გიორგი ბრწყინვალემ, — მართალია, დიდი მოურავი სპარსულ კაბას იცვამდა და თათრულ ჩაღმას იხვევდა თავზე, მაგრამ ის ყოველთვის და ყოველგან მაინც ქართველი იყო. სამშობლოს სიყვარულით უძგერდა გული და მზათ იყო სულაც შეეწირა; და თუ მისმა ღვაწლმა უნაყოფოთ ჩაიარა, ამის მიზეზი უფრო სხვები იყვენ; მაშინ, როდესაც ის თვისი ვაშ-

კაცი შვილებითა და მცირე გუნდი მ საარაკო საქმეებს ჩადიოდა, მოხმარების ნაცვლათ სხვები ხელს უშლიდენ, თვით თეიმურაზ პირველი შტვირის გულით კარი კარზე დაწანწანებდა და როცა ქართლ-კახეთს შავი ღღე ადგა, ის იმერეთი „შიაფარავანისას“ ლათიობდა. არა თუ ქართლ-კახეთს მიაყენა ჭირი მისმა კარ-და-კარ სიარულმა, თვით იმერეთიც გარყვნა, მისი დამოყვრებით, მისმა ასულმა დარეჯანმა აურ-დაურია მთელი დასავლეთი საქართველო და თითქმის სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა. ამისთანა დროს მეტი რაღა ექნა გიორგი სააკაძეს? ქვეყანა მას ტყუილა ადებს ბრალს.

— კი, მარა სპარსელები ხომ იმან მოიწვია? თათრებს ხომ ის ეპატუებოდა? გარეგნობით ხომ შეცვლილი იყო? იკითხა ვახტანგმა.

— მართალი არის, მარა ეს სულ მოსატყუებელი მოჩვენება იყო. თითონ შენ არ იყავი, რომ ფრანგობა გინდოდა მიგელო? გაათრებთათაც გაათარდი, მარა შენზე ეჭვი არავის შემოუტანია, ერთგულებათაც ჩავითვალეს ეგ შენი გადასხვაფერება — ამიტომ რომ შენ მეფე იყავი და ის-კი უბრალო კაცის შვილი.

აქ დიდი უთანხმოება მოხდებოდა, რომ თამარ არ ჩარეულყო და არ ებძანებია: „მეც თანახმა ვარ გიორგისო! მოიყვანეთ სააკაძეო?“

წინ წამოდგა სიმდაბლით სააკაძე, საოცარი და საოცნებო თვალთ-ტანადი მოურავი. შევხედე, თუ არა, მაშინვე გამეცლო გუჩებაში: „აი, ეს ყოფილა რუსთველის ტარიელი-მეთქი. „მთელი მისი ღღეინდელი ჩამომავლობა რომ ერთათ შეაწებოთ, მის ფეხის ფრჩხილათაც არ გამოჩნდებიან“. იმას უბრძანეს, რომ გამოეკოთხათ ჩემთვის ქვეყნის ამბავი. ისეთი თვალთ-კი შემომხედა, თითქოს უნდოდა შეეტყუა, ეს ჭია-ლუა საიდან მოთრეულია და ცალკებათ მკითხა: „რასა იქს ღღეინდელი ქართველობა? ხომ ისევ ისე ძველებურათ არის?“

— აღარ, ბატონო! თავი უწვრილდება, გული უპატარავდება და მუცელი უდიდდება, ვუპასუხე.

— ჰმ! ვაჟაკათ კიდევ ვარგან?

— რატომ არა? თავისიანზე გულ-დღიო გახლავან, გარეშეების-კი შიში აქვთ.

— იარაღს როგორ ხმარობენ?

— ძალიან კარგათ! როცა ლხინში არიან, ძალიან გამბედავით აძგერებენ ხოლმე ერთი-მეორეს. შინაურობაში თავს არ იზოგვენ. მარა გარეშემ, თუ შემოიღობა, მაშინ-კი ხელის კანკალი მოუდით ხოლმე.

— მაშ, დღეს სახელგათქმული გმირი არაინა გყავთ?

— როგორ არა? დარჩია, მიქელაიშვილი, დათუნაიშვილი, კურუა და სხვანი.

— მადლობა ღმერთს! მათი ღვაწლი? მათი გმირობა?

— დღე და წესანიშნავი! თუ საღმე შეიგულეებენ ქვრივ-ობოლს, უიარაღოს, უძლურ დედაკაცს, მაშინ ძალიან ვაშკაცობას იჩენენ! თავს დაესხმიან ხოლმე და გაძარცვენ.

ეს რომ ვთქვი, ვეღარ მოითმინა ვახტანგ რჯულის მდებელმა და მომაყვირა:

— კანონი და სამართალი?

— აბრუნდ-ჩაბრუნდიზე ტრიალებს, მით უფრო, რომ ცრუ მოწმობა კანონათ შემოვიდა; ცრუ ფიცი—აბაზათ ღირს.

— როგორ, თუ ცრუ ფიცი? მომადხა ერთმა წვეროსანმა, — სარწმუნოება?

— ისიც სხვა გზით მიდის. დღეს აღარც ლოცვაა და აღარც მარხვა. აღრე რომ ზარები „მოდის-მოდის“ იძახოდენ, ახლა „წადი-წადის“ გაიძახიან.

— ეს სულ ცუდი აღზდის ბრალი ყოფილა? და რას შვრებიან ქალები? ნუ თუ აღარ არიან ცოლები, დედები, დები?—იკითხა შეწუხებით თამარმა.

— გახლავან, დედოფალა; გახლავან, მარა სულ სხვანაირათ გაიმღვრიან.

— განათლებული თაობა?—იკითხა პეტრიწიმ.

— განათლებული თაობა ჯერ ისევ ჩრდილშია... რასაც სხვაგან გაიგონებენ, სულ იმას იმეორებენ, თავისთავათ ვერაფერს ვერ ახერხებენ. არც ერთი მათგანი კატათ არ ჩაიგდება, მარა ლომობას კი ჩემობენ. როცა საქმე მოითხოვს შრომას, ერთი ალთას ვარჯის მეორე ბალთას. უბრალო თავმოყვარეო-


ბას და თავის ჰაწაწკუნა პირადობას ქვეყანას და ქვეყნის საქმეს სხვერპლათ წირვენ. გული კუჭი გონიათ და თავი—ფეხები.

აქ ისევ გამიტაცა ლაპარაკის სურვილმა, ვგონებ, ერთს წელიწადს ვეღარ გავათავებდი მათ შესამკობელ იამბიკოებს, რომ ვილაც მოხუცი არ გამომხტარიყო და არ გაეწყვეტინებინა სიტყვა... ის იყო, თურმე, საბასულხან ორბელიანი. გულდაწყვეტილი მიუბრუნდა მეფეებს და მოახსენა.

— როგორ გეკადრებათ ამის ყურის გდება! არ იცით, ეს ვინ არისო? მე რომ სიბრძნე-სიცრუეში ყია-მყარალა მყავს აწერილი, ის გახლავთო და სულ უსიამოვნო რამეს ლაპარაკობს, თვარა ღმერთმა ნუ ქნას, რომ საქმე ასე გაფუჭებულიყოსო.

ეს რომ მოისმინეს, დავით აღმაშენებელმა უღვაშებში ჩაიცინა, თამარმა გაიღიმა და თქვა: სწორეთ მართალი უნდა იყოსო! ეს აქაურობასაც აურევსო და ისევ გაავადეთ იქითკენ, საიდანაც მოსულაო. თქმა და გაგონება ერთი იყო. გამოცვინდენ აქედან, იქიდან ბოქაულები, მტაცეს ხელი, ერთი მისთანა პანდური მჩანთეს, რომ სულ ბზილ-ბზილით წამოვედი მაღლიდან, გამხდა ბრეგვა მიწაზე და კიდევაც გამოიმღვია.

აკაკი.



ს ი ტ ყ ვ ე ზ ი

წამბოთქმული თფილისში, აკაკის დაკრძალვის დღეს.

სიტყვა კიბა აბაშიძისა.

აჰა, დაიმსხვრა ქურქელი ძვირფასი.

უცხო ხელოვნის მიერ ქმნილი სასუმელი მტვრათ იქცა.

ხოლო დარჩა უკვდავი, ღვთაებრივი ნეტარი, იგი არ დაღვრილა.

იგი დაიყო და ქართველ ერის სულის უკვდავ ნაწილათ იქცა.

მუზათა ღმერთს ჩონგური ხელიდან ვაწარდა... და გაიბზარა.

ხოლო შეხმატბილებული მისი სიმების წკრიალი არ შეწყვეტილა და ზევსური ჰანგე-

ბი მისი კვლავ გაისმიან. ივინი იქნებიან სამარადისოთ ქართველ ერის სმენის დამატკობელი სულის მეოხი, გულის გამამხნეველები.

მწყემსს ხმატბილი სალამური გადაუტყდა, მარა მისგან აღმომხდარი, მომჯადოებელი კვნესა გაჰკივის „მთა და ველში“ და ქართველ ერს უწოდებს ნესტანის საშველათ... წუთიერი, გარდამავალი გაჰქრა.

ის, რაც მიწის იყო, მიწათ იქცა.

ხოლო ის, რაც ცის იყო, ხელუხლებელი დარჩა. იგი განისვენებს დღეიდან ჭასასვენებელსა კეთილსა, „სადა ივია ცხოვრება დაუსრულებელი“, განისვენებს მისთვის ერის გულში მომზადებულ იავარდით შემკულ სახატეში სამუდამო მასაზრდოებლათ საუკუნეთა შორის მიმდინარე თაობათა.

მაშ, რაღამ შეგვაერთა ჩვენ აქ მთელი ერი ჩვეულებრივით დაქსასულნი, ხშირათ ერთი მერეზე აღტყენილნი?

რათ არის ქართველი ერი შავის მანდილით მოპურვილი, რათ არის გლოვით მოცული, რათ აღვსებია თვალეზი ცრემლით, რათ აღმოხდა ბავთაგან „ოხრა, შვება უბედურისა“? საბედისწერო საკითხი აღიშართა მის წინაშე როგორც ყოველთვის ასეთს ტრაგედიულ წამებში: ნუ თუ საქართველოს ხვედრი მარტო ტანჯვა და გლოვა, ვაება და ტირილი, ნუ თუ ისტორიულის ბედისა, გინდ განგებისგან ეს საშინელი როლი აქვს ქართველ ერს სამარადისოთ დაკისრებული. ნუ თუ მისსია მოწამებრივობისა არის მისი ხვედრი? ნუ თუ, „ნესტან დარეჯანი ქაჯებს ჰყავთ“ ეს საბედისწერო ეპიტაფია ჩვენის ისტორიულის ცხოვრების საფლავის ქვაზე წარწერილი, ნუ თუ „კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანი“, ეს უცნაური სიმბოლოა და სახება ჩვენის ისტორიულის თავგადასავლისა? იყოს ეგრე. მერე, რა? განა ტანჯვა და სიხარული ორი პირი არ არის ერთისა და იმავე მოვლინებისა, რომელსაც ადამიანთა ცხოვრება ეწოდება, სხვა და სხვა გამოსახულება არაა ადამიანთა ცხოვრების ერთი და იმავე ტრაგედიულის არსისა.

განა ტანჯვა უფრო ღრმა არ არის, უფრო დიადი, უფრო ადამიანური? განა ტანჯვა

ის დიდებული დიბა არ არის, ის თვალთ წარმტაცი ოქროს ქსოვილი, რომლის ნიადაგზე მოიქარგა ესდენ დიადი შვენება პოეზიისა, ქართველ ერის სევდა-სასოების მგოსანი.

თუ ეგრეა, კურთხეულ იყავნ ტანჯვა, რომელიც აძლევს ერს შეძლებას დამატკივოს მისი სულის სიძლიერე და გამოაღებინოს ასეთი ნაყოფი მისის სულის გენიოსობისა. ჩამოკრა, თუ არა ქართული პოეზიის ტაძრის გლოვის ზარმა, მაუწყებელმა შენის აღსასრულისა, ქართველ ერის გულიდან აღმოხეთქილმა ინსტიქტურმა ხმამ შენ მიგიჩნია საუკუნო განსასვენებელი იქ, სადაც სცემს მაჯა წამებულის საქართველოსა, იქ, სადაც ფეთქს გული შენის ერისა, მან აგიჩნია სამარეთ მთაწმიდა, ეს გუშავი საქართველოს დედა ქალაქისა,

ქართველი ერის სულმა მოიწადინა სიკვდილის საიდუმლოებათა და უკვდავების ძლიერებით შეგაკვიროს მეორე დიდებულ მოძღვართან, რომელთა ერთად ორმოცდაათის წლის წინათ ვადმოსძახეთ მიძინებულ, მისუსტებულ და მიბნედილ საქართველოს ხმა იმედისა და სასოებისა.

ამოუდევქით მხარში წმიდა მცველებათ თქვენ საყვარელ სატრფოს „ფეხშიშველსა, თავზე ლეჩაქ მოხდილსა“, ეკლის გვირგვინით შემკულსა და კვლავაც გაგვაგონეთ გამამხნევებელი ხმა და თქვენი ერი ტანჯული, ხოლო არა დაცემული, დაჩაგრული, ხოლო არა მონათ ქცეული, მეგობრისგან მოტყუებული, ხოლო არა მოლალატე ლომ-გმირათ იქცევა, გაგულკაცდება და, თუ ვერ მოახერხებს სადღესასწაულოთ მართოს თქვენი სატრფო და საქორწილო ჯიდა დაადგას თავზე, ღირსეულათ მაინც ატარებს იმ მოწამებრივ გვირგვინს, რომელიც ჰგავს ბედს ჩვენის სამშობლოსთვის სამარადისო სამკაულათ მიუნიჭებია.

დიდებულო მოძღვარო, დღეს შენი ერი დაფნის გვირგვინით შეამკობს შენს წმიდა შუბლს ნიშნათ დაუსრულებელის მადლობისა, წარსდექი შენ ეგრე დაგვირგვინებული ჩვენის ცხოვრების წმიდა ტანჯულთი წინაშე და

ახარე მათ, რომ შენი ერი გაიხარდა და აწ თავის დიდებულ მოღვაწეთ აღარ განაცდევინებს სიმწარეს ეკლის გვირგვინისას.

ქუთაისის ქალაქის მოზარდის ი. მ. ჩიოვნა.

საქართველოს დიდების და დამცირების მომსწრეო, ჩვენო სათაყვანებლო თფილისო! ამ დიდი ეროვნულ გლოვის დღეს ქალაქი ქუთაისი საქართველოს ყველა ქალაქებთან, მთელ საქართველოსთან ერთად გიძღვნის შენ უმდაბლეს სალამს და გილოცავს ბედნიერებას...

ბედნიერი ხარ მით, რომ მადლიერმა ქართველმა ერმა არ დაიშურა და ძღვნათ მოვართვა, რაც გააჩნდა ქვეყანაზე უძვირფასესი; მოვართვა თვისი სასოება — შეილი, ეროვნული დიდება. გადავლახეთ დიდი მანძილი და შუა გულ იმერეთიდან აქ მოგისვენეთ ხალხის საღმერთებელი, საყვარელი მგოსანი.

ყველა ქალაქებს შურს დღეს შენი ბედი... ვერ დავფარავ, — ქუთაისის მოქალაქეთა საიდუმლო ზრახვას, მათ გულწრფელს სურვილს შეადგენდა, რომ აკაკის ძვირფასი საფლავი ქუთაისის ქონდა სასუგუმოთ და სასახელოთ დიდებულ ბაგრატის ნანგრევების სიახლოვეს. აკაკის საყვარული ქუთაისისადმი განსვენებული იყო და, რა გასაკვირია, რომ ქუთაისსაც აკაკი მარტო თავისათ მიაჩნდა!

მარა შენ, ბედნიერო თფილისო, ძველთაგანვე მთელ საქართველოს გულათ, დიდ აკლდამათ, ეროვნულ პანთეონათ მიჩნეულო, მხოლოდ შენი მიწა. შენი მთაწმიდის მიწა, დაიტევს დიდი მგოსნის ზღვა გულს, მამული-სადმი უმაღლეს ტრფობით აღზნებულს გულს, ისე, როგორც დაიტია დიდი ილია ჭავჭავაძის და დიმიტრი ყიფიანის გული.

შენსავით, აბა, ვინ ჩაიხუტებს გულში და ნამდვილ დედასავით ვინ მოუვლის საშვილიშვილო სამარეს!

ქუთაისის საიმაყვე, ბაგრატის ტაძარო, უტყყო მოწმევ საქართველოს ძლიერებისა და ქველობისა! აღსრულდა ქართველი ერის ნება: მთაწმიდამ უნდა მიიზაროს დღეს შენი სათაყვანო აკაკი. ერის ნების წინაშე შენც უნდა მოიხარო შენი მაღალი ქელი...

„სავარდო და სამაისო“ ქუთაისი, თუ სი-
ცოცხლეში არ იშურებდა და ვარდსა და იას
უფენდა ფეხქვეშ საყვარელს მგოსანს, სიკვდი-
ლის შემდეგაც არ მოაკლებს, გამოუგზავნის
მას საუცხოვო ქუთათურს თაიგულს.

ნეტაჲ, რას გვიმზადებს, საით მივყევართ
შავ-ბედს? უღვთო იყო ილია ჭავჭავაძის, იმ
დიდი კაცის სიკვდილი! აღშფოთებული ქარ-
თველის გული ვერაოდეს ვერ შეურიგდება
ილიას დაკარგვას. დიდი დანაკლისით ტანჯუ-
ლი ქართ. ელი მხოლოდ მით ინუგეშებდა თავს,
რომ ცოცხალთა შორის ეგულეობდა მეორე
დიდი ქვეყნის მოამაგე აკაკი — აკაკი წერეთელი.
რა დაკარგა ჩვენმა ქვეყანამ? რა იყო მის-
თვის აკაკი წერეთელი?

საზოგადო ურწმუნობის, სასოწარკვეთი-
ლების, გულგატეხილობის დროს აკაკის ცი-
ურმა ჰანგმა გაგვიბო, გაგვინათლა გული,
აგვიძგერა იგი უმაღლესის ეროვნულის გრძო-
ბით, სამუდამოთ შეგვაყვარა ჩვენი სულთმო-
ბრძავი სამშო.ლო, ჩვენი უბედური ერი.

აკაკი იყო შეუბოვარი, უშიშარი გმირი
განახლებულის საქართველოსი, რომელმაც ხმა-
მალლა ამცნო ქვეყანას მკვდრეთით აღდგომა
საქართველოსი.

ქართველო ერო, მიმოიხედე
ირგვლივ, მოიგონე ერთს წამს ის შავი დღე,
საქართველოს რომ გაუთენდა, აი, აქ, თფი-
ლისში, კრწანისის ბალებთან...

შენ, სასოწარკვეთილს, დამცირებულს,
გეგონა, რომ კრწანისის დამარცხებამ სამუ-
დამოთ გადასწყვიტა საქართველოს ბედი...

შენ კი არა, თვით ირაკლის, ამ გულ-
გაუტეხელ გმირს მეფეს, ამ გულმხურვალე მა-
მულიშვილს, საქართველოს ბედი იმ დღეს გა-
დაწყვეტილათ მიიჩნდა.

გახსოვს შენ, ქართველო ერო, ის საში-
ნელი წამი: კრწანისის ომის წაგების დღეს სა-
სოწარკვეთილებამდის მისული ირაკლი, იქ,
ავლაბრის ხიდთან, ცხენიდან რომ გადმოხტა
და სასიკვდილოთ გამზადებული, წმიდა ესტა-
ტის ნაწილებისკენ იშვერდა ხელებს და უკა-
ნასკნელათ ავედრებდა მათ თავის ბედშავ სამ-
შობლო?

მარა, არა, არ გამართლდა ირაკლის ში-

ში! კრწანისის დამარცხებამ ვერ დაამარცხა, ვერ მოკლა ერის სული. კრწანისის გვაშთა საფლავებიდან იმ დღესვე გარკვევით გაისმა სანეტარო ხმა:— შეუძლებელია მოკვდინება უკვდავ ეროვნულ სულისაო!



ს ი ტ ყ ვ ა

ქპასკაშოზ ლეონიდიას თქმული ჰეტროგრაფის კაზანის საკრებულო ტამარში აკაკის დაკრძალვის დღეს.

დღეს თფილისში ქართველი საზოგადოება უკანასკნელათ ქრისტიანულის წესით ეთხოვება ივერიის დიდებასა და სიამაყეს, ბრწყინვალე მგოსან აკაკის მცხოვან ნეშტს. დღეს მიწას მიაბარებენ სიტყვიერებით ღვთისგან უხვათ დაჯილდოვებულ ქართველის გვამს, რომელიც ორმოცდაათ წელიწადზე მეტი გულში ატარებდა თვისი სამშობლოს მწუხარებასა და დაღბინებას, დღე და ღამ ფხიზელ დარაჯათ ედგა სამშობლოს ინტერესებს, მზივლელ ლექსებით მოუწოდებდა თვის თანამოძმეს თავისუფლებისა, სინათლისა და სიყვარულისკენ, შარავანდელით მოსადგა სამშობლოს გმირთა სახეს, რომელიც შეადგენს ქართველთა სახელს და დიდებას. ქართველებში არ მოიპოვება არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე, რომელიც არ იცნობდეს აკაკის მზივლელ პიროვნებას. საქართველოს მთელი ინტელიგენცია მე-19 საუკუნისა დღემდე დღემდე იკვებებოდა ამ ცის მოციქულის აღმაფართოვანებელის ნაწერებით, იმჰვალებოდა მისი აზრებით, მოქმედებით და მისის ჩავონებით გაფაციცებით იმენდა მის ტკბილ-ხმოვან ჩანგის ჟღერას, რომელიც დამდეროდა კაცთმოყვარეობას, განათლებას და ზნეობრივ განსპეტაკებას. ყველანი ჩვენ, დიდიდან პატარამდი, ჩვენს მასწველებლათ ვთვლიდით აკაკის, მასში ვხედავდით სი-

ნათლის მომფენ წინასწარმეტყველს ქართველი ერისას, მის პოეზიაში ვპოულობდით ქართველი ერის გულის იდუმალ ზრახვასა და მისწრივებას.

ასეთი პიროვნების დაკარგვა ისეთივე მწვავეთ საგრძნობელია, როგორც ოჯახის უნახეს და უმგრძნობიარეს წევრის დაკარგვა. ამისთვისაც იყო, რომ აკაკის გარდაცვალების ამბავმა ყოველ ქართველის გულში გლოვით ჩამოკრა და ელვის სისწრაფით მოედო მთელ მხარეს, ძაძებში გახვია ჩვენი საყვარელი სამშობლოს მთა და ბარი.

დიდია ჩვენი ხალხის ეროვნული მწუხარება, აუნაზღაურებელია ჩვენი დანაკლისი, ძნელია იმ დაცარიელებულ ადგილის ამოვსება, რომელიც აკაკის გარდაცვალებით დარჩა, მარა მინც სასოწარკვეთილებას არ ვიკარებთ, დღეს მოღებულ მწუხარების სავანეს იქით ვხედავთ ბრწყინვალე მხარეს. აკაკი ჩავიდა საფლავს სრულის და ნამდვილის რწმენით, რომ ხალხი, რომლის კეთილდღეობასაც შესწირს მან თვისი თავი, შეგნებული აქვს და აფასებს მის ნაღვანს. როდესაც ორმოცდა ათი წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილეს იხდიდენ, აკაკის შექმნილი დაენახა, რომ მთელი მოაზრე საქართველო ქედს იხრიდა მის წინაშე, როგორც დიდებული მწერლისა. ღრმით ჩასწვდა გულში განსვენებულს ხილხის მიერ გამოცხადებული სიყვარული. ჩემს სიკოცხლეში არ დამივიწყდება ის, თუ რა ნეტარებით იგონებდა იგი კახეთში მოგზაურობას, სადაც ქართველ დედებს მასთან მიყავდათ ბავშვები, რათა მათთვის ხელი გადაესო თავზე.

დიახ, მშობელმა ერმა დაარწმუნა აკაკი, რომ იგი აფასებს, პატივსა სცემს და ეთაყვანება მას. ეს გარემოება ახარებდა მას და ბედნიერათ ხდიდა განსვენებულს ამ ქვეყნათ. ასეთივე სიხარული და ბედნიერება იქნება მისი თანამგზავრი, საიქიოსაც, თუ კი ძვირფასი განსვენებულის მცნებას არ დავარღვევთ და აღვასრულებთ კერძო, თუ საზოგადო ცხოვრებაში.

დღეს საქართველო მზურვალეთ ევედრება მოწყალე მამა ზეციერს, რათა წილთა შინა აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა განუსვენე

ნოს ახლათ გარდაცვალებულ თ-დ აკაკის. ჩვენ შეჯეროთო ჩვენი ლოცვა, ძვირფასო მსმენელო, ჩვენს თანამოძმეთა და შევედროთ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რათა მიანიჭოს საუკუნო ხსენება და მთელს სიკაცხეში სასოებით მომღერალს და მისი წმიდა ხელის მადიდებელს თ-დ აკაკის. ამინ“.



ს ი ტ ყ შ ა .

თქმული რვა თებერვალს აკაკის კუბოზე 1-ლი სახელმწიფო სათათფიროს ყოფილი დეპუტატის, ბაქოს, განჯის, თფილისის და სხვ. მამადიანთა საკულტურო-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლის ნაფიცი ვექილის აღი-მარდან-ბეკ-ტაშჩიბაშევის მიერ:—

„მეზობელნო ქართველნო! იმ მომენტიდან, როდესაც შევნიერი საქართველოს სახალხო მომღერლის სიკვდილის შესახებ საუბედურო და სარწმუნო ხმამ შავი ზღვიდან კასპიის ზღვის ნაპირებამდი მიალწია, აღმოსავლეთ საქართველოს მამადიანებმა, თვისი კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა სახით ბაქოსა, თფილისსა, განჯასა, ერივანსა, ნუხაში და სხვ, თავის ზნეობრივ მოკალეობათ ჩასთვალეს გაენაწილებიათ ეროვნული მწუხარება და გლოვა თვისი საუკუნო მეზობელ ქართველებისა. როგორც ქართველებმა, რომელნიც მწარეთ გლოვობენ თავის საუკეთესო იდეალთა მატარებლის დაკარგვას, ისე მამადიანებმაც, გაიგეს რა საქართველოს მგოსნის სიკვდილი, იგრძენეს, რომ 28 იანვარს, დამით, დასავლეთ საქართველოში მოხდა ისეთი რამ, რამაც სევდითა და მწუხარებით მოიცვა ყველას არსება.

ასეთ მომენტში მეგობარი ხალხისადმი ძმური ხელის გაწევა, ნუგეშის ცემა მისი და მის მწუხარებაში მონაწილეობის მიღება ჩვენი წმიდა შოვალეობაა, ნაკარნახევი იმ კეთილმეზობლური დამოკიდებულებით, რომელიც დიდი ხანია, რაც ჩვენი მხრის მამადიანთა და ქართველთა შორის არსებობს.

ჩვენ ვაფასებთ ამ დამოკიდებულებას და ვამაყობთ მითი, რადგან მამადიანებმა კარგაო

იციან, რომ მეზობელ—ქართველთა სახით მათ აქვთ საქმე გმირ კეთილშობილ ხალხთან, რომელსაც დღეიწათ დაუახავს „იცხოვრე და აცხოვრე სხვაყო“...

ასეთი დიდებული და ბრძნული დასაწყისი, რომელსაც გულწრფელათ მისდევენ ქართველები, წყაროა გულწრფელი სიმპატიებისა კავკასიის მამადიანთა ქართველი ხალხისადმი მომავალ თაობის საბედნიეროთ.

და მე აქ, ამ ყველასთვის ძვირფასი, დიდებული ქართველის კუბოსთან უნდა დავამოწმო მამადიანთა ასეთი სიმპატია, რადგან დარწმუნებული ვარ, ამითი განიხარებს მგოსნის წმიდა სული.

ეს ხომ შენ იყავი ბრძენო—პოეტო, რომელიც ტკბილი ხმებით შეხაროდი შენი სამშობლოს აყვავებას და ყველა ეროვნებათ ძმური ერთობისკენ მოუწოდებდი!

შენ ცოცხალი სულით განსკვრიტე ბედნიერება შენი საყვარელი სამშობლოსა ხალხთა ერთობაში!

მაშ, დღეიდან შენი ბრწყინვალე სახე, მარადის იმყოფებოდეს ამ ხალხთა შორის და აგონებდეს მათ იმ დიდებულ იდეათ, რომელსაც შენ ქადაგებდი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

შენ იყავი მოციქული ჩვენ მიერ სათაყვანებელი იდეებისა, რომელნიც ქვაკუთხედათ უნდა დაედვას შევნიერი კავკასიის აყვავებას.

შენ, დაუვიწყარო მგოსანო, ამით უკვდავ ყავი თავი შენი და ერი შენი, რომლისთვის მარტოოდენ აბაძის სახელი კმარა, რომ განათლებულ და კულტურულ ერთ იქნეს აღიარებული.

დიდია საქართველოს დანაკლისი, მარა დაე ჩვენმა კეთილშობილმა მეზობლებმა ინუგეშონ მით, რომ შენი მხატვრული ხელით გადასროლილი მარცვალი მშობელ ნიადაგზე დიად ნაყოფს გამოიღებს სინათლესა და თავისუფლებას მოწყურებული ხალხის საბედნიეროთ.

ჩვენი წმიდა ვალია გავყვეთ იმ გზის მიხედვებელ ბრწყინვალე ვარსკვლავს, რომელზედაც საქართველოს მგოსანმა მიგვითითა.

და დიდებული აკაკის ამ ძვირფასი ცხედ-

რის წინაშე, ყველამ ჩვენი აღთქმა უნდა დავ-
დოთ, რომ ავასრულებთ მის მცნებათ, რათა
არ იქცეოდეს სისხლი უდნაშაულო ხალხთა,
არ ნადგურდებოდეს ჯეჯილი, არ ინგრეოდეს
სახლები, არ იწოდეს სოფლები...

სიბჭვა ა. მ. თათმეოსიანისა.

გაზეთ „ორიზონ“-ის რედაქციის სახე-
ლით ჩვენ მუხლს ვიყრიტ ქართველი ერის
სახელოვან მგოსნის ხსოვნის წინაშე და ჩვენს
თანაგრძნობას ვუერთებთ საერთო საეროვნო
მწუხარებას.

გამოკლებით პუბლიცისტურ გამოსვლისა,
რომელიც უცხოა მის სულისთვის და დაშო-
რებულა მის მოწოდებას, — ჩვენ აღსაყენი
ვართ საღმრთო მოწიწების გრძობით მის
შემოქმედების ძლიერებისა და სილამაზის წი-
ნაშე, იმ შემოქმედებისა, რომელიც ეხება
ჩვენის ხალხის მშობლიურ მოტივებსაც

„ჩვენი აკაკი“, როგორც იხსენიებს მას
ყოველი ქართველი, წოდებისა და საზოგადო-
ებრივ მდგომარეობის განურჩევლათ, არ
მომკვდარა: რადგანაც მის მელოდიურ, გუ-
ლის სიღრმიდან ამოსულ, მიმზიდველ სიმღე-
რაში ჩამოისხა თვის ხალხის სული, მისი სევ-
და წარსულ დიდების დაკარგვის გამო და მისი
ოცნება უკეთეს მერმისზე.

დაე, ნათელით შეიმოსოს მისი ხსოვნა
და აღსრულდეს გრძნეული პოეტური ოცნე-
ბანი მისნი.



* * *

ნუ გაანდობ ბრბოს გულის ტკივილსა,
ნუ გააგონებ ოხვრა-ჩივილსა:
არ შეგებრალებს, — უღმობელია;
ვერ თანაგიგრძნობს, უგრძნობელია!
შენი ნაღველი ამცნე ვარსკვლავებს,
შორს, ცის სიერცეში, მბეუტავ-მბრწყინავებს,
და ბრბოს-კი ისე აჩვენე თავი,
რომ არაფერი გაქვს საზრუნავი!

წადი მიმართე ბუნების კალთას, —
უღაბურ ტყესა, ყრუ ხევს, მაღალ მთას:

იქ დააფრქვიე ცრემლი, მდულარე,
რომ მოიხზო გული მწუხარე,
და კვლავ განაგრძო ბრძოლა, გმირული,
ბრძოლა, მედგარი, თავგანწირული!
რაზომიც გერგოს ტანჯვა, საზარი,
უღრტვინვლათ ზიღე წამების ჯვარი.
და, ვერ გაუძლო, თუ ტვირთს მძიმესა,
გულის სიღრმეში ჩაიკალ კენესა;
მოკვდი, ვით გმირსა, შვენის სიკვდილი, —
არვის ასმინო ოხვრა-ტირილი...

დუტუ შეკრეა.



ა რ ა რ ა ტ ი.

ვიხილე იგი მოხუცი,
როს უამი იყო დილისა,
თავს საბურავი ემოსა,
უმტვერო რამე ქილისა!

შემკული იყო სხვა და სხვა,
ნაირ-ნაირი აღმითა,
თითონ ერივანს წვდებოდა
თავისი ბოლო ჩაღმითა!

უკმეხათ იღვა მაღალი,
მწარეთ შეეკრა წარბები,
გამწყრაღათ იხედებოდა,
არ უღიმოდა ჩარბები!

ხან და ხან დაიგვრგვინებდა,
თითქო უხმობდა სულეგსა,
და წყრომით მეკითხებოდა:
„რა გნებავთ მოთრეულებსა“?!

რათ გინდათ, რომა აავსოთ
ჩემი თმენისა ფიალი,
რას ნიშნავს სოფელთ დარბევა
და ზარბაზნების გრიალი?!

რათ არ მოგწყინდათ ადამძმეთ
ხალხთა რბევა და თარეში,
რა განდათ, ერთი მითხარით,
სხვისა და უცხო მხარეში?!

რა შეგშურთ ქურთის? მაგისი
ცხვარი, ქვაბი და ხალები?
თუ მშიერ-მწყურვალ-ტიტველი
მაგის ცოლი და ქალები?“

„გრცხვენოდეთ“-აო, ეს მითხრა,
პირი იბურვა ნისლითა,

ველი-კი იღებებოდა
ადამიანის სისხლითა!

გაშემებული ვიდეკი,
მრისხანეს ვერა ვუთხარი
და მრავალწილათ გამეყო
გული ობოლი, მწუხარი!

ან კი რა მეთქვა? ამა დროს
ვინ მოაბრუნებს ენასა,
როდეს ყოველგან უყურებს
კაცთა კვლა, სისხლის დენასა!

დავწყველე გულში, დავწყველე
ასეთი გარემოება,
და, ვთქვი, ამ ქვეყნათ ყოველი
ყოფილა ამაოება!

კულტურის თანაბარია
ყოველგან ტყვია ნაწრობი
და ყველა მხეცზე სასტიკი
ადამ და ევას ნაშობი!..

ეკსეკი ღლასაბერაძე.

1915 წ. 4 თებერვალი. ბაიახეთი.



მ ო გ ო ნ ე ბ ა

(დასასრული).

აკაკის შემდეგშიაც ხშირათ ვნახულობდი.
ყოველი მისი მოსვლა ქუთაისში, ბეჟან წე-
რეთლის ოჯახში, ჩვენთვის ერთგვარი დღე-
სასწაული იყო. გვზიბლავდა გრძნობით აღ-
საესე, გაშლილი მისი სახე, რომლის მსგავსს
ნიჭიერი მხატვრის ოცნება, თუ შექმნის მხო-
ლოთ. გვზიბლავდა მისი ტკბილი ლაპარაკი.
აკაკის საუბარი ისეთ გრძნობას იწვევდა, რო-
გორც გრილი ნიავის შრიალი სიცხით შეხუ-
თულ ჰაერში. მისი წყნარი მუსაიფი ტრედის
ღღღუნე იყო — მდინარის ღღღუნე, ისეაივე
მონარნარე, როგორც მისი პოეზია.

აკაკი იუმორის დაუშრეტელი წყარო იყო.
თუ მზიარულ გუნებაზე ნახავდი, ოხუნჯობდა,
თავისებურის მზიური ღიმილით. ხშირათ, მე-
გობრულის კილოთი ქართველ მწერლებზედაც
იოხუნჯებდა. ივანე კერესელიძის და პლატონ
იოსელიანის შესახებ ბევრი სასაცილო ანეკ-
დოტი გამიგონია მისგან.

აკაკიმ ერთხელ შემდეგი მიამბო ერთი ჩვე-
ნი მწერლის შესახებ (ეს მწერალი დღესაც
ტანმთელათ გვყავს).

აი, ნამდვილ შემთხვევას გიამბობ, მოგო-
ნილი არ გეგონოს. ერთხელ, მახსოვს მთვა-
რიანი ღამე იყო, ჩვენს — ვესტუპრე. როცა
ქიშკარი გავაღე და მის ეზოში შევედი, ძალ-
ლები დამესიენ და კიდეც დამხვედენ, რომ
ეზოში მდგომ ხისთვის ტოტი არ მომეტება.
და მითი არ მომეგერებია. ძალლებს კი გადა-
ვურჩი, მარა, წარმოიდგინე ჩემი გაკვირება,
როცა ამ უზარმაზარ ხის წვეგრზე ადამიანი შე-
ვნიშნე ქალღმერთ და ფანქარით ხელში.
დღესავით ნათელი ღამე იყო. ვინა ხარ მეთ-
ქი, შევძახე ცოტა არ იყოს შეშინებულმა.
თურმე ნუ, იტყვი, თითონ ჩვენი — იყო-
ფილა! რა გინდოდა ამ ხის წვეგრზე, მეთქი,
კვითხე გაკვირვებით.

მან ხელი ჩამომართვა და, ცოტა არ იყოს,
დარცხენით მიპასუხა..

აბა. თუ მიხვდი, რას მიპასუხებდა? მკითხა
აკაკიმ.

— რა მოგახსენოთ, ბატონო, იქნებ გრი-
ლი ჰაერის სასუნთქავათ ავიდა მეთქი — მივუგე.

— არა, ვერ მიხვდი! აი, საქმე რაში ყო-
ფილა. თურმე, მთვარის აწერა სურდა და ხეს
მწვერვალზე მიტომ მოექცა, რომ მთვარეს
დაახლოვებოდა.

აი, თუ გნებავთ, ჩვენებური, ქართული
ნატურალიზმი-ო! იხუმრა აკაკიმ.

— ბედნიერი ხარ, აკაკი, მთელი ქარ-
თველობა ასე რომ გაფასებს — შენიშნა მგო-
სანს იმ დღეს ერთმა მისმა ახლობელმა

— მაინც, მაინც... როგორ მაფასებენ?
ან მითხარი, ვინ მაფასებს? იკითხა აკაკიმ და,
მახსოვს, ასეთი სიტყვები წარმოთქვა:

— მე თქვენი მონა-მორჩილი დიდათ არ
ვაფასებ „ვაშა-ვაშას“ და ზოგიერთ ფეხის ხმა-
ზე ამაოლთა ქება-დიდებას. მაპატიეთ, რომ
იქვიანი კაცი ვარ... რომ ხანდახან ზოგიერ-
თების თაყვანისცემაც ჩემ შეურაცხყოფას მა-
ყენებს... არც ისე დიდი ხანია, მას შემდეგ,
როცა ერთი ჯურის ხალხი მოშაირეთ და
უშინაარსო მწერლათ მნათლავდა. აი, ეს და-
ლოცვილები ეს ერთი ხანია ფეხის ხმას აყვენ
და, მგონი, გადაჭარბებთაც მაქებენ. იცით,

ვინ დამფასა, ვინ მომცა იმედი და სულიერი ძალა? ეს გახლავთ მდაბიო, მშრომელი ხალხი, ბავშვები და ქალები. უბრალო ხალხი გრძნობით იმღეროდა ჩემს ლექსებს და სწორედ ეს მაქვსებდა სამწერლო ასპარეზე, თვარა ერთ დროს ჩვენი მეცნიერი ინტელიგენციის წყალობით გადაწყვეტილიც მქონდა კალამი ხელიდან გამეგდო.

დიდი მოსაქმე ხალხია ჩვენი ბოზოლა ინტელიგენცია—გვიოხრა ერთხელ აკაკიმ (ამ სიტყვებს ნინა წერეთლისაც ისმენდა). ამას წინათ ქუთაისში ერთი დიდი პოლიტიკური შეთქმულება მოხდა (აქაკაის სიცილი წასკდა). ჰო, შეთქმულება... აი, როგორც ოცდაათიან წლებში. რამდენიმე პატივცემულ პირს განეზარაბა...! თქვენ მტერს იმისთანა. გაუფეს და ყველანი დაატუსაღეს. მე გადავწყვიტე მენახა ისინი სატუსაღოში და მენუგეშებიანა, რომ მალე გაათავისუფლებდენ, მარა წარმოიდგინეთ ჩემი გაცვიფრება—ისე პირქუშათ დამხედენ, თითქო მე ვყოფილიყავ მათი გალიაში დამწყვდევნი.

— ჰო, რაზე მოდი, თუ ღმერთი გწამსო — მკითხეს „ტუსაღებმა“ მწყრალოთ. მოხვედი, რომ იცინო, არა? ნეტავი შენ, აკაკი, რომ არაფერი გენადვლება და მუდამ სამასხროთა ხარ მომზადებულიო!

გამეცინა, სწორეთ გითხრათ, ასეთ მეტიჩრობაზე და გამოგბრუნდი იქიდან.

აკაკის ცხოვრებიდან უბრალო ფაქტის მოგონებასაც მნიშვნელობა აქვს ჩვენის აზრით. ზოგიერთი პატარა მოვლენაც ცოტათი მაინც ახასიათებს პოეტის დიდბუნებოვანობას.

მოგახსენებთ იმ შემთხვევათა შესახებ, რომლის მოწამეთ მე თითონ ვყოფილვარ.

ერთხელ აკაკი ნაცნობ ვეკილს დაეპატიუნა ორპირის კუჩაზე. შუა ღღე იქნებოდა; მგოსანმა წასვლა დააპირა ბეჭ. წერეთლის სახლიდან და მთხოვა გზაში გავყოლოდი. როცა ორპირის ქუჩაზე გავვდიოთ, ბორკილების ჩხრიალი მოგვესმა. კატარღელების მთელი კრება მოყვადათ ხიშტიან ჯარისკაცებს.

— საწყლები, საწყლები! ნეტავი არ მენახა, რა ახალგაზდებია! წყენით თქვა აკაკიმ; რალა ეს ჩვენი გამოსვლა და ამ უბედურების

გამოტარება ერთი შეიქნა—მწუხარის კილოთი გადმომილაპარაკა მგოსანმა.

ამ მართლაც და უბედურების პროცესიას გზას უკაფავდა რამდენიმე პოლიციელი, რევოლვერებით ხეში. ესენი ქუჩაზე მიმავალ ხალხს მიერეგებოდენ გადასახვევებისკენ. აკაკის ფეხი ტკიოდა და ველარ მოასწრო გადახვევა. ვილაც ქართველი „გოროლოვოი“ შეეფეთა მას წინ, ჰკრა ხელი მოხუცებულ მგოსანს, და, უსათუოთ, ძირს დასცემდა, რომ ხელი არ ჩაეკიდნა ჩემთვის.

— რას შვები შე უგუნურო-ვო, ეს კი მოასწო აკაკიმ და ოთხი, თუ ხუთი სერთუკოსანი სწვდა ამ „მამაც“ პოლიციელს. ატყდა ერთი აურ-ზაური.

— როგორ, თუ გაუბედვრაკაკის შე ტუტუცო ხელის შეხებოა!—დაუყვირეს. როცა იქაურობას გადავურჩით და აკაკიც დამშვიდდა— ვკითხე:

— ხომ არაფერი გატკინეს-მეთქი.

— ტკენით არაფერი, მარა ის კი სწორეთ სასაცილო იყო „როგორ გაუბედვრაკაკის“-ო, რომ მიამახეს პოლიციელს.

ნეტა, თუ ისე ვაფასებთ ქართველები თავიანთ მოღვაწევებს, რომ „გოროლოვოებიდანაც“ მათდამი პატივისცემას მოვითხოვთ.—

ქუთაისში აკაკის იუბილზე რომ გაუმართეს, ამ ეროვნულ დღესასწაულის დღეს მოხუც მგოსანს ერთი დიდი საწყენიც შეხვდა.

იმ დღეს აუარებელმა ხალხმა აკაკი დიდის ზემით მიაცილა ბეჭან წერეთლის სახლამდი. ნასადილევს დაღლილი აკაკი ერთ პატარა ოთახში მიწვა დასასვენებლათ. სასტუმრო ოთახი ამ დროს სავსე იყო აკაკის ნაცნობებით და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებით. ამ დროს კარებზე ზარი დარეკეს. მსახურმა კარი გააღო. შემოვიდა ერთი ვილაც ჩოხიანი და აკაკის ნახვას დაჟინებით მოითხოვდა. ამავე დროს მეც იქ გავჩდი.

— რათ გნებავს აკაკი მეთქი?

მან ჩუმის ხმით, თითქო რცხვენიაო, მიპასუხა:

— აქ ცოტა ნაწარმოები მაქვს, დაბეჭდვას ვაპირებ და მინდა აკაკიმ გადახედოსო. გამეცინა და მინდოდა სხვა დროსთვის დამე-

ბარბია, მარა ამ დროს პატარა ოთახიდან აკაკის ხმა მოისმა: — შემოღუშვით, ვინც არის, არ მძინავსო. —

ჩოხიანი მგოსანი შევიდა აკაკისთან და კარი მიიხურა. რამდენიმე წუთის შემდეგ, გამოვიდა ოთახიდან, მარდის ნაბიჯით ჩავიქროლა თვალწინ და გაქრა. მალე აკაკიც დავინახეთ. ის იყო გაფითრებული და ფერდაკარგული.

— ვინ იყო, ბატონო აკაკი, ის ჩოხიანი მეთქი, დავეკითხეთ.

— ნულარ მკითხავთ, თუ ღმერთი გწამთ, გვიპასუხა აკაკიმ. ყაჩაღი ყოფილა, თავსლაფ დასხმული! ფული გამომგლიჯა, უკანასკნელი 25 მანათი და კიდევ დამემუქრა — არ გააცხადოვო. თავზე ხელ აღებული უნდა იყოს მაგ საწყალი. ან გიჟი ვინმე, თვარა ამდენ ხალხში ეს როგორ გაბედაო. ხანჯალზე ხელი გაისვია! —

ჩვენ ძალიან აგვალეღვა ამ შემთხვევამ. გვინდოდა კიდევ გამოვდევნებოდით იმ თავხედ ავაზაკს, მარა აკაკიმ დაგვიშალა:

— დაანებეთ თავი, თუ ღმერთი გწამთ, არ მინდა ჩემი ჭულისთვის ვინმე დაისაჯოსო. —

იუბილეს შემდეგ, მთელი ოთხი წელი არ მენახა ჩვენი აკაკი. ქრისტეშობისთვის შუარიცხვებში ჟურნალ „განთიადის“ ხელმძღვანელმა ბ. ხომლეღმა დამავალა მენახა აკაკი და გადამეცა მისთვის, მისი ძველი მეგობრის თხოვნა. შევიტყვე, რომ მგოსანი სასტუმრო „გრანდ ოტელ“-ში იმყოფებოდა. ეს იყო რამდენიმე დღით წინ აკაკის ავანტიურაბადი. მოკრძალებით შევალე სასტუმროს ოთახის კარი. აკაკი, ტანზე გაუხდელი იწვა ცივს ოთახში, პირი კედლისკენ ქონდა მიბრუნებული. წამოიწია, ადგომა დააპირა. ვთხოვე, წოლილიყო, მარა არ ისურვა. ადგა, მაგიდას მიუჯდა და მისი ჩვეული პოზით, შევნიერი თავით ხელეებზე დაყრდნობილმა საუბარი დამიწყო. როცა გადავეცა ხომლეღის თხოვნა ჟურნალში თანამშრომლობაზე, სიამოვნებით დათანხმდა.

— გადავიცი რომანოზს, რომ, თუ კი რამე შემიძლია, მსურველი ვარ ვითანამშრომლო მის ჟურნალშიო... —

თითქო გულმა იგრძნო, რომ აკაკის იმ დღიდან ვეღარ ვიხილავდი.

„დარჩი, დარჩი! დასტკბი ცოტა ხანს ღვაება — აკაკის ცქერითო“ მეუბნებოდა იღუმალი ხმა, მარა მოვერიდე მის დალაღვას და გამოვეთხოვე... სამუდამოთ გამოვეთხოვე.

იგ. ა. ანა.



ტუსაღის აღსარება.

— ციხე... დარკინული ფანჯრები.. მრავალჯერ მიფიქრია, მარა წარმოდგენალი მაინც არ მქონდა. და, როცა პირველათ ოთხკედელში მოვეყვე, რაღაც ნაირათ შევკრთი... შევკრთი, რომ დავკარგე თავისუფლება... დავკარგე... და სულმა ტკივილი იწყო. გაშტერებული შევედი ჩემს ამხანაგებთან ერთათ საკანში... ნემსივით გულში მეცა — როცა დარაჯმა რკინის კარები ლაწუნით მოგვიკეტა... დარკინულ ფანჯარასთან მივედი... გაღვიხედე: წინ მალალი კედელი... ზევით ერთი ბეწო ლურჯი ცის ნაფლეთი — მხოლოთ ეს-ღა დავინახე და საშინელი ბოღმა გადაეფარა ჩემს არსებას...

მივაშტერდი ქვის კედელს... ვიგრძენი, რომ იმას იქით ლალი თავისუფლება იყო. გული შეიკუმშა... ფანჯარას მოვშორდი. ამხანაგებს თვალი გადავაღვე... საკანის ერთ კურეში, მხოლოთ ახლა დავინახე ლოგინზე მჯდომი მოხუცი... ფეხებზე ბორკილები ედო... მუხლებზე წიგნი დაეყრდნო და ჩასჩერებოდა.

ლოგინზე ჩამოვჯექი... საკანის კედლებს თვალიერება დავუწყე... მარა ტიაღისეგდა მაინც ვერ მოვიშორე... და ისევ ღრმა ფიქრმა წამიღო, — შემისვა თვის ფრთებზე და გული უფრო დამიკოდა.

უცებ ბორკილების ქლარუნმა გამომაკვია..

მოხუცს წიგნის კითხვა შეეწყვიტა, — ერთს ჩემს ამხანაგთაგანს ტკბილათ ესაუბრებოდა.

მივაშტერდი.. სევდიანი და წყლიანი იყო მოხუცის შავი თვალები.. ტკბილათ, გატაცებით საუბრობდა იგი... მიმიზიდა მისმა სევდიანმა ხმამ, მისმა შავმა თვალებმა და მოხუ-

ცის საუბარს ყური ვათხოვე.—ძლიერ მიყვარს წიგნის კითხვა... ძლიერ... ბავშობიდან შევეჩვიე... მარა, აქ ნაკლებათ ვშოულობ... ოხვრით წარმოსთქვა მან გავიდა დღეები... მოხუცი შევეჩვიე...

ჩვენც შევეჩვიეთ... საღამოებით, როცა დარკინულ ფანჯრებში მთვარის შუქი შემოიპარებოდა და კრთომას დაიწყებდა ნაფლეთ ცაზე რამდენიმე ვარსკვლავი—ჩვენ ყველა მის გვერდში ვიყავით და ისიც გვიამბობდა ხოლმე ათასნაირ ზღაპრებს— და ლეგენდებს...

ჩვენ გატაცებით ვუსმენდით მოხუცს... ვუსმენდით... მარა ხან და ხან, როცა ცრემლებს შევაჟინებდით მის ქუთუთოებზე,—ყველანი თავს დავხრიდით, რომ ჩვენი ცქერით მისი დაფარული ქრილობა არ გაგვეძნელებია... და ისიც თეთრი „ხალათის“ სახელოთი ამოიწმენდა ხოლმე დაცრემილ თვალებს და დიდხანს, დიდხანს იყო ფიქრში წასული...

ყველანი ვგრძნობდით, რომ მოხუცს რაღაც დიდი სევდა აწვა გულზე... ვგრძნობდით, მარა ვერ გავგებედა გამოგვეკითხა... გვეშინოდა ამით უფრო არ დავგვესერა მისი ტანჯული გული...

ერთ საღამოს მოხუცი რაღაც მხიარულათ საუბრობდა. ბავშური აღტაცება გამოკრთოდა იმის თვალებიდან...

— მაღე, მაღე გაგათავისუფლებენ... მოგვმართა მან... მე ვიკითხო... თვარა თქვენ რა გიქირთ... მე ვიკითხო, რვა წელიწადი უნდა გავატარო...

— რათა ხარ დატუსაღებული?— შეეკითხა ერთი ამხანაგი...

— რათ... რათ?! შეჩერდა... სევდიანი თვალებით გადმოგვხედა და დაიწყო:

ა.

— ხუთი წლიდან წისქვილში ვიყავი... იქ გავიზარდე... წისქვილის ქვათა ღრუტუნმა მითხრა სიბავშვის ზღაპრები, მდინარის მხუილმა ჩამძახა ძილის პირი და მეც ყური მივუგდე... უღარდელათ ვიზდებოდი... ბედნიერი ვიყავ...

მამა ჩემი მეწისქვილე იყო... წისქვილში ცხოვრობდა. მეც იქ ვცხოვრობდი...

პატარაობიდან წისქვილს შევეჩვიე. იქ

იყო ჩემი ლხენა... იქ, მახსოვს, როცა ბაღლი ვიყავ, ყურს მივაპყრობდი პაწამდინარის ლიკლიკს, რომელიც ვერხვა, ტირიფთა შორის რიკრიკებდა და ჩემს გულშიც იზდებოდა მისი სიყვარული... ო, ღმერთო ჩემო, როგორ, როგორ მიყვარდა წისქვილი... ასე მეგონა, როცა წისქვილის ქვები ღრუტუნებდა—ჩემი გული მათ ხანს აძლედა, მათთან ერთათ სცემდა, ლხინობდა... ასე ვიზდებოდი... ადრე ვისწავლე წერა-კითხვა... ხშირათ, მდინარის მხუილს, რომ გაუტაცვიარ, ან გაზაფხულზე შაშვის სტვენას, ბრუ დამხმია ხოლმე და ვაბრუებულს ცეკვა დამიწყია... ხან კი ტკბილი ლექსები გამომიგონია...

ოცი წლის ვიყავი, როცა მამა მომიკვდა... ამ დროს უკვე გათქმული ვიყავი... წისქვილს მუშტარი ასკდებოდა—რომ ჩემი ცეკვა ენახათ, ან ლექსებ-შაირები მოცმინათ... ერთი წლის შემდეგ, ლამაზი ცოლიც შევირთე... გადიოდა ტკბილი დრო და ჩვენ შვილის პატრონი არ შევიქენით... თითქმის ხუთი წელი გავიდა ამ ლოდინში... ერთ დღეს ჩემმა ცოლმა პაწა გოგონა მომაყენა კარს...—ვიშვილოთო, მითხრა.

დავხედე... ლამაზი გოგონა იყო. გამეხარდა.

ვარდო დავარქვით პატარას... იგი დღითი დღე იზდებოდა, ლამაზდებოდა...

როცა პირველი ქალაჩა შემეპარა თმამი და ვეცხლისფერი ლერები წვერში გამოკრთენ, იგი უკვე ხუთი წლისა იყო... ამავე დროს ორივემ ტირილით დავასაფლავეთ ის, ვინც ჩვენ ერთმანეთს გვაერთებდა: ვადამეცვალა მუელლე.

ვარდო ჩემს ამარათ დარჩა... წისქვილის ქვათა ღრუტუნის დაობლებულ გოგონას მეგობრათ გაუხნდა... თანდათან იზდებოდა იგი... დღითი დღე ლამაზდებოდა. და, როცა თუთხმეტი წლის შეიქნა და მდინარის პირას უეცრათ თმაგაშლილი დავინახე, ალი მეგონა... ალი... შავი გიშერივით თმა კოჭებამდის სცემდა... მაყელისფერი თვალები უძირო ტბას გავდა... ჰო, რა ლამაზი იყო... რა კარგი...

მარა... ეს... და აქ მეწისქვილეს ტირილი წასკდა... და ქვითინით განაგრძო: ამ დღიდან დაიწყო მისი უბედურებაც...

მეთექვსმეტე წელმა, რომ მისი არსება დაალამაზა, ასაყვავებლათ მომზადებული ლოცვები გაფურჩქნა.. მაშინ ვიგრძნე, რომ ვარდო მალე დაქალდებოდა..

ცივი ზამთარი იყო. მუშტარი წისქვილს ნაკლებათ ეტანებოდა. თუ ვინმე მოვიდოდა, საფქვავს ტოვებდა.. დამე წისქვილის ქვები ნელა ღრუტუნებდა. მსუღოდა ღარში წყალი, ხოლო კერასთან მუგუზლები ბუტბუტებდა..

ამ დროს მე და ვარდო მზიარული ვისხედით ცეცხლის პირას.. და მეც ზღაპრებს, ზღაპრებს ვუამბობდი გოგონას..

იგი მისმენდა.. მისმენდა გატაცებით.. და, როცა დევებზე ზღაპარს დავიწყებდი და გარეთ ღმუილით ქარი წისქვილის ქვათა მოთქმას ხმას უერთდებდა, ვარდო ამით შემკრთაული, დევებისა და ქაჯების შიშით, აკანკალებული კალთაში თავს ჩამიდებდა და კრთოდა.. მარა, როცა — ქარის ღრიალს შეამჩნევდა, კისისი აუვარდებოდა და ყელზე მეხვევოდა..

გადიოდა დრო.. ზამთარმა ისე გაიარა, რომ მხოლოთ სიხარული და უდარდებლობა მეფობდა წისქვილში. მარა, აი, დადგა გაზაფხული, მდინარემ ტკბილათ ლიკლიკი დაიწყო.. თოვლიც გადნა და მზემ ოქროს ფერი სხივებიდან მოქსოვილი თაიგული ქვეყანას შემოთავაზა.. შემოთავაზა და მწვანეთ ააბიბინა მთა-ველი. და.. ერთმა ასეთმა სხივთა კონამ, ზამთრის კუკური, რომელიც ალბათ, ვარდოს გულშიც იყო, გადმოშალა, და გოგო ცრემლათ დაადნო!

ჰო, ღმერთო, ღმერთო ჩემო!! მოგონება, მოგონება მიმძიმს. მიმძიმს გითხრათ ის, რაც მაშინ მოხდა.. ცრემლებით წაიგმინა მოხუტმა..

ახალ გაზაფხულიდან დაიწყო მისი სევდა. ახალგაზაფხულზე ვარდოს წითელ ლოცვებს სიყვითლემ ზოლი გადაავლო. მის ტუჩებზე, ღიმიის მაგიერ, სევდამ დაისადგურა..

გამოშტერდა... აღარსად აღარ დადიოდა. თუ იჯდა ღარების თავში — მდინარეს ჩაშტერებოდა.. თუ არა, წისქვილის ქვათა ღრუტუნს ყურს უგდებდა..

ხან და ხან ისე ამოიოხრებდა, რომ მეგონა მთელი გული ამოიტანათქო..

არ ვიცოდი, რაში იყო საქმე.. არ ვიცოდი.. გავიფიქრე: ალბათ, გათხოვება უნდა და იმის ბრალია-თქო..

— ვინა გყავს, შვილო, ამორჩეული, მითხარი.. და არ დაგიშლი.. შევეკითხე ერთ დღეს და თავზე ხელი გადუსვი..

მან არაფერი მიპასუხა და გიჟივით ყელზე ჩამომეკიდა.. მომეხვია..

მე შემეშინდა.. ტანში ჟრუანტელმა და მიარა.. ჩავფიქრდი. აზრი ამერია..

რაც უნდა იყოს.. სხვისი შვილი იყო.. მთელმა ტანმა თრთოლვა დამიწყო.. მე კიდევ გავეუმორე ჩემი კითხვა..

— დამანებე თავი.. მე არავინ არ მინდა.. არა, არ მოგშორდები.. დაიძახა მან და ქვითინი დაიწყო..

გავიდა ხანი.. იგი გაშტერებული დაიარებოდა. ვერაფერმა ვერ უშველა..

— მამა, შემეკითხა იგი ერთ დღეს. — მე შენი შვილი, მართლა, არა ვარ?!

— კი, შვილო, აბა, რას ამბობ? ვუპასუხე..

— არა. არა.. არა.. დაიძახა მან.. — რას მატყუებ, განა არ ვიცი?! ამას ყველა ამბობს..

თავში რაღაც ეცვლასავით მეცა. ავთრთოლდი.. ვერაფერი მეთქვა.. როცა გონს მოვედი და თავი ავიღე.. იგი აღარ იყო..

მიდიოდა დრო. თანდათან ვატყობდი, რომ ვარდო, სხვანაირათ მეპყრობოდა.. სულ თვალეში მომჩერებოდა.. ჩემს გვერდში იყო. თავს მეველებოდა..

და ერთ საღამოს, როცა ზაფხულზე საშინელი წვიმა უშხაპუნებდა — მეხი გრიალებდა..

წისქვილში ხაროსთან ვიჯექ და ვარდოს ჩემს ახლათ გამოგონილ გალექსილ ზღაპარს ვუკითხავდი..

როცა ზღაპარი გავათავე.. ვარდო კისერზე მომეხვია.. ჩვენი ტუჩები შეერთდა..

ჰო, ღმერთო ჩემო, მხოლოთ მაშინ გამოვერკვიე, როცა უკანასკნელათ იგრიალა მეხმა.. ზეზე წამოვარდი გიჟივით.. გარეთ გავარდი — ნადირივით ღრტვინვა დავიწყე. გიჟი.. გიჟი შევიქენი.

დიღხანს ვიხეტიალე.. ბუნება დამშვიდ-

და.. მარა ჩემს გულში მაინც ქარიშხალი ბო-
ბოქრობდა. მოღამდა... ნელა ამოცურდა მთვა-
რე—და წვიმით გაგრილებული ბუნება დააშ-
ვენა... მე ვერხვა-ტირიფთა შორის დავხეტი-
ალობდი—და მოვთქვამდი...

რა ვქენი, რა ჩავიდინე!.. აი, რა მტან-
ჯავდა... რათ, რათ ჩემს სიცოცხლეში მუნჯი
არ ვიყავი, რომ არ შემძლებოდა ზღაპრების
მოთხრობა... რათ? თუ ვინმე დამნაშავე იყო
ჩვენს სიყვარულში აქ პირველათ ჩემი ზღაპ-
რები... ჩემი შაირები... ზღაპრების ბრალი იყო
ყოველივე...

მტანჯავდა ეს შეგება... მარა ამავე დროს
ვარდოს სიახლოვე მწვავდა. მისი არსება მდა-
გავდა.

დიღხანს, დიღხანს ვიხეტილავე...
შუა ღამე იქნებოდა, რომ წისქვილში
დავბრუნდი. ნელა კარები შევალე მთვარის
შუქი სარკმლიდან ჩამოპარულიყო და მიძინარ
ვარდოს საწოლს ანათებდა.

ფეხ აკრეფით მივეუახლოვდი ვარდოს სა-
წოლს. დავაშტერდი. შავი თმა გველივით გა-
დაწოლოდა ფიქალ მკერდზე. ტუჩები... მარ-
ჯანივით ტუჩები ნელა, .ღიმით კრთოდენ—
და გიჟური ვნებით ადამიანს თვისკენ იწვე-
დენ... მივაშტერდი... ველარ მოვითმინე და
ვაპირებდი მისი ტუჩების დაკონებას, რომ გა-
მაჟრჟოლა, შევკრთი... რაღაც წყევის ხმა გა-
ვიგონე... მხეცივით უკან გამოვხტი... ავენ-
თე... დანას, ბასრ დანას, რომელიც წელზე
მეკიდა, ხელი გავისვი... წამი და... იგი ფი-
ქალ მკერდში დავსცი...

იკივლა საბრალომ... წამოიწია... მთვა-
რის შუქზე მე დამინახა... გამიღიმა... გამიღი-
მა და კისერზე ჩამომეკიდა...

მე ხმა ვერ ამომმელო... მხოლოთ, როცა
კისერზე მისი ხელები ვიგრძენ... მაშინ მივხე-
დი, ვინ მოვკალი და გიჟივით მის ტუჩებს და-
ვეკონე...

— რათ, რათ, მომკალი — განა გძულდი?!
ეს-ლა მოასწრო დაცხაბა და სული ჩემს მკერდ-
ზე განუტევა. გიჟივით დავეცი... აღარაფერი
აღარ მახსოვს... მეორე დღეს შემიპყრეს. და-
ნაშაულში გამოვტყდი... და ხუთი წელიწადია,
აქ ვხივარ... დავკარგე სიყვარული... თავი-
სუფლება... და მერე, რისთვის?! რისთვის?!

ამოიქმინა მოხუცმა... ცრემლები ველარ შე-
იკავა, ზეზე წამოდგა, საქნის დარკინულ ფან-
ჯარას მიადგა და ქვითინი აუარდა...

ღია ჩიანკლი.



იპულუბითი განმარტება.

(დასასრული*).

ბ. პ. გელეიშვილი უდარდელი სისხარ-
ტით ამბობს, რომ

„ჩვენის გულთადის რწმენით ეს ისეთივე ბორო-
ტება იყო, როგორც პოეტის მკვლელობაა. არა, ეს
კიდევ მეტიც იყო.“

ამას ბ. პ. გელეიშვილი საპირფეროთ და
ენის მოსაქავებლათ ამბობს, თვარა, არც თვი-
თონ, არც სხვამ იცის ისეთ ბოროტ-მოქმედე-
ბა, რომელიც უფრო დიდი და უაღრესი იყო,
ვიღრე კაცის მკვლელობა და ისიც უკანიდან
მიპარგით შესრულებული.

ხომ ასეთ განგაშსა სცემს ბ. პ. გელეი-
შვილი იმის გამო, თუ როგორ გაუბედეს
ილიას სოციალიზმის სამოსლის გადაფარებაო.
მარა მაგარი და საკვირველი სწორეთ ის არის,
რომ ამ აზრის სიმართლეს თვით ისიც, ბ. პ.
გელეიშვილი ადასტურებს. ის კია, რომ ეს
თვისი აზრი მას წიგნაკის აქა-იქ აქვს გაბნეუ-
ლი. ამიტომ ჩემ თავს ნებას ვაძლევ, ეს ადგი-
ლები ბ. პ. გელეიშვილის წიგნაკისა აღვნიშნო.

ბ. პ. გელეიშვილი წერს:

„აქ, როგორც ხედავთ, ახალი არაფერია, ეს,
ვეროპის დიდი უტოპისტებისგან ნახესხი აზრებია.
ადამიანის გასწორება, მისი სულიერათ ამაღლება, მისი
გაკეთილშობილება და განკაცება იყო რობერტ ოუგენ-
ნის ფილოსოფიის და პრაქტიკული მოღვაწეობის დედა-
ძარღვი. აი, ეს ფილოსოფია მოიტანა ჩვენში ილია
ბავჭავაძემ.“**)

ამ სიტყვებით ბ. პ. გელეიშვილი ადას-
ტურებს, რომ ილია ბავჭავაძე კარგათ იყო
გაცნობილი უტოპისტების აზრთან და მოძღვ-
რებასთან. ჩვენ, უექველათ, ასე უნდა ვიფიქ-
როთ, რადგან სხვანაირათ ჩვენთვის გაუგება-
რია, როგორ-და შეიძლებდა ილია ამ ფი-
ლოსოფიის ჩვენში შემოტანას.

ახლა ბაღმაც კი იცის, რომ ვეროპის

*) იხ. განთიადი № 1.

**) იხ. გვ. 39.

პირველი სოციალისტები უტოპისტები იყვნენ. ესენი იყვნენ პარველნი, რომელთაც კრიტიკის ჭარკეცხლში გაატარეს მთელი სოციალური ყოფა-ვითარება. ამითაც არ იკმარეს. მათ სოციალური მდგომარეობისა და გავითარების რამდენიმე კანონიც კი აღმოაჩინეს. ეს კანონები ახლაც სოციალისტური მოძღვრების მიერ აღსარებული და მიღებულია. ამიტომ ამ უტოპისტების ერთი უნიჭიერესი მიმდევარი, კონსიდერანი იმდენათ წათამამდა, რომ თვის მოძღვრებას, საშუალოდ სოციალიზმში უწოდა. აი, სწორეთ აქიდან ისესხეს გერმანელმა ახალგაზდა სოციალისტებმა კარლ მარქსმა და ფრ. ენგელსმა ის მედიდური სახელწოდება, რომ თვის მოძღვრებას, კონსიდერანიდან ნასესხებს და მაშინდელი საფრანგეთის უტოპისტების გავლენის ქვეშ შექმნილს, უწოდეს საშუალო სოციალიზმი. შემდეგ კი, კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მოძღვრების მიმდევრებმა თავის თავს სოციალ-დემოკრატია უწოდეს, რამელი სახელწოდებაც იმ დროინდელ საფრანგეთიდანვე იყო წამოღებული, რადგან ამათზე წინ, რამდენიმე წლით ადრე, ლუი ბლანის პარტიას სოციალ-დემოკრატია ეწოდებოდა, აი, ამ უტოპისტებისა და კონსიდერან-ლუი-ბლანის მოძღვრებას ნიკ. გაბ. ჩერნიშევსკი, მაშინდელი ცენზურის პირობების გამო, რეფორმატორების ზარტას უწოდებს და ეს უკანასკნელი ტერმინი თვით ნ. იაკ. ნიკოლაძეს აქვს განმეორებული 1879 წ. (იხ. „მამულის სიყვარული და მსახურება“ გვ. 38), თუმცა, დამეთანხმებით, ამ დროს ამ ტერმინის ხმარება შესაწყნარებელი აღარ უნდა ყოფილიყო. აი, ეს მოძღვრება შესწავლილი ქონია ილია ჭავჭავაძეს და იგი მას შემოუტანია ჩვენში. ეს მაშინ დიდი ახალი საქმე იყო.

ბ. პ. გელეიშვილი კი, ამ საგულისხმო ფაქტის სიღიადე რომ მიაფუჩეჩოს დამიჩქალოს, გაიძახის: აქ ახალი ანაფურიაო. ამის მოქმედს განა გაეგება, ან გაუგონია კი მაინც, თუ რა ხილია საისტორაო პრესექტაჟა? მარა ამით როდი კმაყოფილდება ბ. პ. გელეიშვილი და თვითონვე აღნიშნავს, თუ საიდან და ვისგან შეისწავლა უტოპისტების მოძღვრება ილ. ჭავჭავაძემ:

„აიღეთ“ ანრდილი“, რომელიც პოეტს დაუწერია პეტროგრადში, სტუდენტობის დროს, მაშინ, როცა,

უნდა ვიფიქროთ, ჩვენი პოეტი ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის და რუსეთის იმ დროინდელი სხვა დიდი მწერლების გავლენას განიცდიდა. ამ პოემაში ჩერნიშევსკის გავლენას უნდა მივწეროს „შრომის სუფევის ქება-დიდება“*).

აქ ბ. პ. გელეიშვილი ცხადათ ადასტურებს, რომ ილია ჭავჭავაძემ იცნობდა უტოპისტების მოძღვრების ძირითად მოტივებს და, რომ ეს მოძღვრება მან შეისწავლა რუსეთის სამოციანი წლების დიდი მწერლებისა, მათ შორის კი წარჩინებული ეკონომისტისა და სოციალისტური მოძღვრების თავდადებული მესვეურის ნ. გაბ. ჩერნიშევსკის მეოხებით. აქ იმასაც აშკარათ გვეუბნება ბ. პ. გელეიშვილი, რომ „ანრდილიში“ ილ. ჭავჭავაძემ „შრომის სუფევას“ ქება-დიდებათ იხსენიებს. ახლა კი კითხეთ მას, ბ. პ. გელეიშვილს, ყოველივე ესე, მის მიერ ასე აშკარათ ნათქვამი, ადასტურებს ჩემ აზრს, თუ არა? მეც ხომ ამის მეტი არა მოთქვამს? მე ვსთქვი, რომ ილ. ჭავჭავაძემ „ანრდილის“ მე-XIII, XIV, XV თავებში სურს „შრომის სუფევის“ დამყარება და აქვე აღნიშნული აქვს, „შრომის სუფევის“ დასამყარებლათ საჭირო ელემენტებით-ქო არც მეტი, არც ნაკლები. ამისთვის კი, ბ. პ. გელეიშვილი მწამებს, თითქოს კაცის მკვლელობაზე უმეტესი ბოროტება ჩამედინოს. თვითონ კი იმასვე ამბობს, რაც მე ვთქვი. ბ. პ. გელეიშვილის ტერმინოლოგიით რომ ვიხელ-ძღვანელოთ, ამ შემთხვევაში, ნეტავ, რაღა ბოროტება უნდა დავწამოთ მას!? ეს თვით მკითხველის გამკრიახობაზე მიგვიჩნდია.

მარა ამ თვის აზრს, რომ ძალა დაუკარგოს, ბ. პ. გელეიშვილი იქვე, აი, რასასწერს: „მარა ილიაზე ეს გავლენა ერთობ მცირე და ხანმოკლეა.“**)

ბ. პ. გელეიშვილს როდი ესმის, თუ რაზე აქ ლაპარაკი. საქმე ის კი არ არის, გავლენა ხან-მოკლე იყოს, თუ არა. საქმე ის არის და სადავოც ის არის, რომ ფაქტია, თუ არა, რომ ილ. ჭავჭავაძემ „ანრდილიში“ „შრომის სუფევას“ უმღერა? ახლა, როგორც მკითხველიც ხედავს დარწმუნდება, ამ ფაქტს, რადგან იგი ასე ცხადი და აშკარაა, რადგან

*) იხ. გვ. 51—52.

**) იხ. გვ. 52.

იგი თავის თავთ მეტყველებს, თვით პ. გელეიშვილიც აღიარებს. მაშ, ახლა კითხეთ მას, რაში—ლა გამოიხატება ჩემი თვალთ-მაქცობა? მოდი და ნუ მოიგონებ ხალხის ბრძნულ თქმულებას: რეგვენი რომ თავის თავს უზამს, იმას მტერიც ვერ უზამსო.

ხანმოკლე იყო ეს გავლენაო, რომ ამბობს ბ. პ. გელეიშვილი, ეს მას უცოდინარობით მოდის, თვარა აბა, ხანმოკლეობაზე როგორ შეიძლება იქლაპარაკი, როცა ვიცით, რომ „აჩრდილი“ დაწერილია 1859 წ., „პარზი“ 1871 წ. მისში და „ოთარაანთ ქერივი“ კი—1887 წ.

მივყვით ბ. პ. გელეიშვილს ქვევით და იგი მეტსაც გვეტყვის. „მას უყვარს შრომის სუფევა“. ის იქნება სადმე სხვაგან ამ „შრომის სუფევის მედგარი დამცველიც ყოფილიყო*“ ამის მთქმელი, ან სრულებით არაფერს ამბობს, ან ცხადათ იმ აზრს ააშკარავებს, რომ ილ. ჭავჭავაძის თხზულებაში აღბეჭდილია „შრომის სუფევისადმი“ ღრმა სიყვარული. ეს სიყვარული ისე ძლიერია, რომ ილია სხვაგან, შესაფერ პირობებში, მედგარი დამცველიც კი იქნებოდა, თურმე, ამ დიადი მოძღვრებისა. ეს სიყვარული ისე ძლიერი იყო, თურმე, მასში, რომ ილია „ქებათა-ქებას“ (იხ. გვ. 50, „ქება-დიდებას“ (იხ. გვ. 52) უძღვნიდა თურმე „შრომის სუფევას“ და ამ „შრომის სუფევას „უძღვრდა“ (იხ. გვ. 89).

ცხადია ყველასთვის, ვინც კი წაკითხულის გავება იცის, რომ ბ. პ. გელეიშვილი აშკარათ ადასტურებს, რომ ილია ჭავჭავაძის რუსეთის სამოციანი წლების მაღლიანი მწერლების დიდი გავლენა განუცდია, მათი შემწეობით ევროპის უტოპისტთა მოძღვრება ნათლათ შეგნებული და გათვალისწინებული ქონია. მოძღვრების ეს შესწავლა, ან მწერლების ეს გავლენა ისე ძლიერათ განუცთია ილიას, რომ მას „აჩრდილში“ რამდენიმე თავიც კი მიუძღვნიდა „შრომის სუფევისთვის“, ამ „შრომის სუფევისადმი“ დიადი სიყვარული აღძვრია თვის გონებასა და გრძნობებში და ისე ღრმა და დიდი ყოფილა ეს სიყვარული, რომ ილია „შრომის სუფევას“ ქებათა-ქებას უმღერის. ეს სიძლიერე ამ გრძნობისა კიდევ იქიდგან ჩანს,

* იხ. გვ. 52.

რომ ილია სხვა ადგილას, ე. ი., შესაფერსა და დამხმარე პირობებში „შრომის სუფევის“ მედგარი დამცველიც კი იქნებოდა თურმე, ე. ი. თავსაც კი დასდებდა ამ მოძღვრებისთვის. როგორც ხედავთ, აქ სათითაოთ ჩამოთვლილია ყოველი ელემენტი, ყოველი საბუთი, იმის დამამტკიცებელი, რომ ილიას ჩვენში მართლაც პირველს უქადაგნია სოციალისტური აზრები. აი, ასე ადასტურებს ჩემ აზრს ბ. პ. გელეიშვილი და ამავე დროს გაბედულება შესწევს თქვას, რომ მე ვითომც ცხადი ფაქტის აღნიშვნის დროს თვალთ მაქცობა რამ და ბოროტება ჩამედინოს. ან, რა ფასი უნდა ქონდეს იმ კაცის აზრსა და შეხედულებას, რომელიც შენს აზრს არ იწონებს, მას უდიერათ იხსენებს, ამავე დროს კი შენი აზრის დამამტკიცებელს მთელ ფაქტებს და საბუთებს თვათვე აღნიშნავს?! ცხადია, ასეთ კაცს სხვა რომ არა იყოს რა, მესხიერების ორგანო მაინც კი ძალზე დაზიანებული და დაავადებული უნდა ქონდეს. უმესხიერებოთ კი, მოგვხსენებათ, არც ცოდნის შეძენა შეიძლება და არც აზროვნება ხერხთება. ამიტომ ასეთ კაცს, თუ თქვენც იტყვით, წიგნაკების წერის ნებაც არ უნდა ქონდეს.

ვინც გულწრფელათ ნდომობს „შრომის სუფევის“ დამყარებას და ვისაც თვისი ცხოვრების საგნათ „შრომის ახსნა“ დაუსახავს, იგი, მგონია, ძალასა და მხნეობას უნდა პოვებდეს იმ ფაქტში, რომ ამ მოძღვრებას ჩვენში სამოციანი წლებიდან მოუკიდნია ფეხი და, მერმე, სხვა და სხვა ფორმებში გამოსახულა, მარა ამ ხნის განმავლობაში, არც გამქრალა, არც მიძაბურებულა. მაშასადამე, აქ ამ მოძღვრებას ნიადაგი ქონია, ეს კი იმედს უნდა გვაძლევდეს და შრომას გვიორკეცებდეს...

ამით შემეძლო გამეთავებია, მარა არ შემეძლია აქვე არ აღნიშნო ბ. პ. გელეიშვილის შემდეგი აშკარა სიკრუეც. თვისი წიგნაკის მე-15 გვერდზე ბ. პ. გელეიშვილს მოტანილი აქვს ილ. ჭავჭავაძის ლექსები, რომელთაც იგი ასეთ სხოლიოს უკეთებს:

„ყველა ჩვენი ციტატები მოტანილია ილიას იმ ხელნაწერი „აჩრდილიდან“, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს“ და რომელიც ძალიან განსხვავდება დღემდე დაბეჭდილი „აჩრდილის“ ყველა ვარიანტებისგან!“

ეს განცხადება სიცრუეა, რადგან ეს ლექსები და შემდეგი ლექსებიც, რომელიც ბ. პ. გელეიშვილს აქვს მოტანილი თვის წიგნაკში, ამოღებულია ილ. ქავჭავაძის „აჩრდილის“ იმ ვარიანტიდან, რომელიც დაბეჭდილია ბ-ნის მიხ. აღ. გედევანიშვილის გამოცემაში (იხ. გვ. 530, 534).

გარდა ამისა, ბ. პ. გელეიშვილი მეორე სიცრუესაც ამბობს და მეც ცილსა მწამებს, როცა იგი წერს:

„აჩრდილის“ ეს ტაყები ჩვენს მოწინააღმდეგეთ ილიას სოციალისტობის დამამტკიცებელ საბუთათ მი-აჩნიათ; ჩვენი აზრით კი ეს ტაყები სრულიათ წინა-აღმდეგს ამტკიცებს*).

ეს ლექსი მას ამოღებული აქვს „აჩრდილის“ იმ ვარიანტიდან, რომელიც ბ-ნის მიხ. აღ. გედევანიშვილის გამოცემაშია. (იხ. გვ. 523). აქ ჩემი ცილის წამებაა, რადგან მე ჩემი აზრის დამამტკიცებლათ სრულებით არ მიჩვენებია „აჩრდილის“ ეს ადგილი. პირიქით, მე აღნიშნული მქონდა, რომ ჩემ აზრს ადასტურებს „აჩრდილის“ XIII, XIV და XV თავებითქო. არც მე შემეძლო მაშინ ვარიანტზე მიმეთითებია, რადგან მაშინ არც ვიცოდი ამ ვარიანტის არსებობა. არც საჭირო იყო ეს, რადგან, განა, გაგონილა, ნამდვილ წყაროს კაცმა გვერდი აუაროს და ამ წყაროს ლანდს კი პოტინი დაუწყოს?! „აჩრდილი“ თვისი უკანასკნელი რედაქციით, დიდი ხანია, ცნობილი და ამ რედაქციით რამდენჯერმე გამოცემული და საზოგადოებაში გავრცელებული. ამიტომ ილიას აზრი აქ საბოლოოთ შემუშავდა და გამოითქვა. მაშასადამე, ამ „აჩრდილს“ უნდა გაუწიოს ანგარიში ყოველმა გონიერმა ადამიანმა და არა მის სხვა და სხვა ვარიანტებს. ბ. პ. გელეიშვილს-კი ყოველი თვისი ციტატი მხოლოთ ვარიანტიდან ამოაქვს, თითქოს ნამდვილი „აჩრდილი“ არც კი მოიპოვებოდეს. განა ეს სადმე შეიძლება?..

ბოლოს, აქვე ავნიშნავ ბარემ, რომ ჩემი აზ-ილ. ქავჭავაძეზე მოთავსებული იყო:

- 1) „გაზ. ისარი“ № 19. 192 სექ. 1907 წ.
- 2) იგივე მოთავსებულია ნახატებიან კრებულში: „ილია ქავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება. გვ. 190—193.
- 3) ილია ქავ-

ქავაძის სახსოვრათ. იხ. „სახალხო გაზეთი“ № 887. 5 მაისი 1913 წ.

მკითხველს უმორჩილესათ ვთხოვ, შეუფარდოს აქ აღნიშნული წერილები იმას, რაც აქ ეთქვა, და სულს ქვეშე პირუთენელი და მიუღლომელი მსჯავრი დასდოს ბ. პ. გელეიშვილის საქციელს.

P. S. გამოუტკვეველი მიზეზისა გამო, მარა-კი თითქოს განგებო, ჩემი სტატიის მეორე ნახევარი „ძმობის“ სტამბაში გაქრა. ამ დაკარგულის არც დედანი, არც შვიი მქონდა. ამიტომ იძულებული შევიქენი, ეს ნაწილი ხელ-ახლავ დამეწერა. ამიტომ ცხადია, რომ ეს ნაწილი სრული და პირწმინდა გამეორება არ არის წინათ დაწერილისა. ჩემი წერილი გათავებული და გადათეთრებულიც მქონდა ნ-ს აგვისტოს 1914 წ.

ა. ა. ფანცხავა.

20 თებერვალი. 1915 წ.



პ რ ი ტ ი კ ა.

აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მოღსანი (აკაკის ნაწერება, ზირველი და შუარე წიგნი. ი. მანსვეტაშვილის გამბტემა. 1913 წ.)

გაგრძელება.

მოღსანიც გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ ამგვარ პირობებში ჩაყენებული მოზარდი თაობა ვერას გამოითანდა ბევრს გიმნაზიიდან. მარა ამ საზარელ ბნელეთში ერთი ნათელიც გამოჩნდა. ეს იყო პოლონელი როდ-ზიევიჩი, რომელიც ჯერ პროფესორათ ყოფილიყო, მარა ლოთობის გულისთვის დაეთხოვათ და სტავროპოლში ემოვნა ინსპექტორობა. მერე იქიდანაც გაეგდოთ და ჩვენში გადმოიყვანეს მათემატიკის მასწავლებლათ. ეს ლოთი მასწავლებელი ყურათღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს, არც აღგებრას, არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას: ჩვენს ნებაზე მოაგდო მათი სწავლა და ჩვენ, როცა გაგვიძნელდებოდა გაგება რამესი, მაშინ დავეკითხებოდით და შვენიერადაც აგვიხსნიდა ხოლმე. საკვირველია, რომ მისი საგანი ყველაზე უკეთ ვიცოდით. რაღაი

* იხ. გვ. 49.

შეგვატყო. რომ გონება დახშული და განუეთარებელი არიანო, სულ სხვა რამეებზე გვესაუბრებოდა და ცდილობდა ჩვენს გამოფხიზლებას. იმ ხანებში გამოაცხადეს, რომ ვისაც უნდა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, იმან ლათინური უნდა ისწავლოს, და ვისაც მხოლოდ გიმნაზიის გათავება უნდა, იმან სჯულის კანონი შეისწავლოს და, თუ პირველ შევირდათ გამოვა, ჩინსაც მიიღებსო. ჩინს მაშინ დიდი მომხიბლავი მნიშვნელობა ქონდა. მარა ყველა ჩემმა ამხანაგებმა, თუმცა ზოგი მათგანი ვერც კი წავიდოდა რუსეთს, სიღარიბის გამო, ლათინური ირჩიეს. ერთმა მათგანმა მხოლოდ და მეორემ მეც სჯულის კანონის შესწავლა მოვინდომეთ, ჩინის გულისთვის წარტაცებულემა. იმ ხანებში რუსული ენის მასწავლებელმა გვიბძანა: აიღეთ, რაც გინდათ და თქვენდათავათ თხზულება დასწერეთ, მარა დიალოგებათკიო. მე ავიღე და დავწერე ერთი ახირებული რამ. მასწავლებელმა რომ წაიკითხა, ინსპექტორს გადასცა და მას საპედაგოგო რჩევაში წარედგინა და ეთქვა: ამის დამწერი, თუ ახლავე არ აიღავმა, არ ივარგებსო. რჩევაზე როდზიევიჩს გამოედვა თავს: მაგის დამწერი კარგი ვინმე. გამოვა და გაწყრომა კი არა, მოფერება ექვივრებაო. მე ვთხოულობ, რომ იმას ძალა დაატანოთ— ლათინური შეისწავლოს და მაღალ სასწავლებელში სადმე შევიდესო. მკერმეტყველებამ გაიტაცა, გადაიყოლია ზოგიერთებიც და დირექტორმაც ბანი მისცა. შემინხმეს მეც.— ეს შენი დაწერილიაო, მკითხა დირექტორმა!

— დიახ, ვუბასუხე, ცოტა შემკრთალმა.

— მერე, როგორ გაბედე, რომ მთავრობის მოსამსახურე პირებს ასე ცუდათ იხსენიებ?

— ის გადამდგარი ჩინონიკია.

— სულ ერთია, უპატიურათ შეხება მინც არ შეიძლება! ის დამსახურებულნი იქნებოდა და ჰენსიაც ექნებოდა, დაუმატა მრისხანეთ ინსპექტორმა. წაიღე და გადაასწორე სხვანაირათ.

— თუ მხოლოდ ეგ არის წუნი, ეგ ადვილია: წავშლი სიტყვას „გადამდგარი“ და დავაწერ „გამოგდებულს“. გამოგდებული,

თუ კარგი ყოფილიყო, ისეც სამსახურში იქნებოდა. დირექტორმა გაიციანა და გამიშვა. იმ დღიდან მეც ლათინურზე გადავედი. ამის შემდეგ კიდევ უფრო შემეყვარა როდზიევიჩმა და განსაკუთრებულ ყურათლებას მაქცევდა...

უკანასკნელ კლასში რომ გადავედიო, მე ფრანგულის მასწავლებლის მუსიეტურესის სახელში ვიდექი. ამ მუსიეტურესს ყმაწვილები მოსეტურას ეძახდნენ. ერთხელ, საღამოს სტუმრათ შემოყვა როდზიევიჩი; დაჯდენ ორი მარტო და ჩაის დაუწყეს სმა. სტუმარმა რომი მოითხოვა, თვითონც დაისხა და მასპინძელსაც დაუსხა. შეყვენ ნელ-ნელა მუსაიფს, შეზარბო-შებულმა ფრანგმა დიდი რევოლიუცია მოიგონა და აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი, სტუმარმა პოლონეთი გაიხსენა, და მოხსნეს თავი სიფრთხილეს, მით უფრო, რომ იქ იმ ორისა და ჩემს მეტი არავინ იყო. მე ჩემთვის კუთხეში ვიჯექ, ასე რომ ვერც კი შემნიშნეს. იმათმა აბდა-უბდა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენათ გარდავიქეცი. ბოლოს, ამოოხვრით თქვა როდზიევიჩმა:—ახლა რაღა დროს ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავხმდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისთვის კონრადივით სამსახური გამეწია!..

ეს რომ ჩამეწვეთა ყურში, ჩემი თავი ვეღარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა. ვამბობდი: რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური? ოდესმე სარდალი გავხდები! რაც ადრე შევეუდგები საქმეს, ის აჯობებს და ამ ერთ წელიწადს მინც ხომ, უკანასკნელს კლასში, ახალს არას გვასწავლიან, ძველებს გვამეორებინებენ და გამოვალ, არსად არ წავალ-მეთქი. ვადავწყვიტე და გამოვუცხადე მამაჩემს ჩემი სურვილი. მამას ძალიანი იამა.— შენი ნებაა, შვილო! მე შენი ხნისა ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდეო. მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე და დილიდან საღამომდი როდზიევიჩის აღარ ვმორდებოდი. ოთხი თვე დავრჩი, მარა ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის, ვიდრე რვა წელიწადი გემნაზიაში მყოფობის დროს. დამდეგ მისის გამოვეთხოვე დედ-მამას, იმერეთს და დავადექი გზას. სრუ-

ლიათ გამოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის არ მკოდნეს და სრულიათ არავის მნახველს უნდა ზღვა გამეფლო, ხმელეთი ვადამელახა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტროგრაღში, სადაც ჩემი ძმა მეგულეობდა „კანვოი“-ში მოსამსახურეთ.

აკაკიმ პეტროგრაღისკენ შავი ზღვით გასწვია. ხმელეთით წასვლა უფრო მოხერხებული იყო, რასაკვირველია. მარა ადესაში ვარანცოვის ქვრივ ეგულეობდათ და დედ-მამამ იმისი ნახვა დაავალეს. ძღვნათ იმის მისართმევით ერთი დიდი გიშრის ჯვარი, ზედ ჯვარცმა-გამოსახული გაატანეს. ორპირამდი ცხენით ჩავიდა, ორ-პირიდან ფოთამდის ნავით ორს დღეს მოუნდა სიარულს. ფოთში აკაკი დაესწრო ფოთის კურთხევას და იქიდან სამხედრო ცეცხლის გემით ადესისკენ გასწვია. აკაკიმ პირველათ იხილა საქართველოს დასავლეთის, შავი ზღვის პირათ მდებარე უმდიდრესი, უტურფესი და უნაყოფიერესი არე-მარენი და ამ უცხო, ედემის სანახაობამ თავ-ბრუ დაშვევის ძლიერებით იმოქმედა და თლად მოხიბლა ქაბუკი მგოსანი. „ჩემი პოეტური ოცნება, ამბობს იგი, ისე გაიზარდა მგზავრობის დროს, ისე აქრელდა და აფერადდა, რომ გაბრუნებულმა ცა და ქვეყანა, ზღვა და ხმელეთი საქადრაკო ფიცრათ გავიხადე და ჩემ ნება-სურვილზე ვახტუნებდი მეფესა და ლაზიერს. რას მივხვდებოდი მაშინ, რომ გამოუცდელიობა მატყუარა ნატურის თვალია?!..“

ვარანცოვის კნენამ შვილივით მიიღო აკაკი და, ძღვენიც რომ მიართვა, დიდი სიამოვნება იგრძნო. ისაუბრეს დიდხანს და მეორე დღისთვის კნენამ სადილათ დაბატიჟა აკაკი. სასახლიდან დაბრუნებული აკაკი მთელი დღე ადესის დათვლიერებას მოუნდა. აკაკის არაფრათ შეუღმწეგია, არც მრავალ სართულიანი სახლები, არც განიერი ქუჩები, არც ზემდევალ ხალხის გაცეტებული, ჩქარი მისვლა-მოსვლა. მხოლოთ ბოდოზში თავმოყრილმა გემებმა გააოცეს ჩვენი მგოსანი. ან რა მიაქვთ, ნეტავი, ამდენი და ან, რა აქვთ წასაღები, რომ ზღვაზე ძლივს ეტევიანო? ფიქრობდა იგი გუნებაში და თანაც გულს აყოლებდა ზღვის ფრთვიანას...

მეორე დღეს ვარანცოვის კნენა ავით

გამხდარიყო და აკაკის ვარანცოვის სასახლის მკურნალი ანდრიევსკი წერდა: სადილათ ჩემთან მობრძანდითო. წერილთან საკუთარი კარეტაც გამოეგზავნა მკურნალს. აკაკი ეწვია ანდრიევსკის, რომელსაც ცოლათ ყავდა ქართველი ქალი, თავად თუმანიშვილის ასული. სადილათ დიდძალი საზოგადოება იყო მოპატიჟებული. „სტუმრებში, იმ დღეს, იქ ერთი ვილაც პუწკია ახალგაზდა ერია, სულ საულვაშე ისვამდა ხელს. ის მოვიდა, მომიჯდა გვერდით და ჩამკითხა:

— გეტყობათ, თავადო, რომ ბევრი ფული მივაქვთ თან?

— რატომ არა?!

— მაინც?

— ხუთასი ათასი?— ეს რომ მითხრა, მე გიჟი მეგონა და სკამი უკან დავაჩოჩე და საქაროთ მივაძახე, ხუთასი მანათი-მეთქი.

— ხუთასი მანათი? გამიტრიზავა — მერე და ეგ რას გეყოფათ?

— გზაში მეტი არ მომიწდება და, მერე, თვიურათ გამომიგზავნიან სახლიდან.

— რამდენს?

— ხუთ ხუთ თუმანს თვეში.

— მერე, ეგ განა კმარა?

— საქეიფოთ კი არ მივდივარ!..

— მაშ კიდევ მოგრჩებათ!.. მითხრა კიდევ დაცინვით და გადახედა სხვებს... ზოგიერთებმა ღრეჟა დაიწყეს. მივხვდი, რომ მე დამცინოდენ და ცეცხლი მომეკიდა. მეტი ველარა ვაგებდე რა და მეც სიცილით ვუთხარი:

— მე საქმეზე მივდივარ, საქეიფოთ დროც არ მექნება და, რასაკვირველია, მეყოფა თვეში ხუთი თუმანი. ნათქვამია: „კაცია და გუნებაო“. თქვენ თავს კი ნუ დამადარებთ!.. თქვენ, როგორც გეტყობათ, სულ სხვა ბძანდებით! როგორც ვხედავ, ხუთი თუმანი თვეში მართო ულვაშებზე მოგინდებთ! ამის თქმა და ზოგიერთი ქალების გადახარხარება ერთი იყო! ჩემი მოსაუბრე გაწითლდა, ხელები მოაშორა საულვაშეს, ზეზე წამოდგა, რაღაცას თქმას აპირობდა, მარა სახლის პატრონმა აღარ აცალო, ჩაგვერია სიტყვაში: გრაფო! გრაფო! საზოგადოთ, ქართველ კაცთან ფულზე ლაპარაკი უადგილოა...“

აკაკი, რაც ხანი ადესაში დარჩა, ყო-

ველდლე ანდრიევსკისას იყო. მერე მან თანამგზავრიც უშოვა და პეტროგრადს გაისტუმრა. აღესიდან პეტროგრადის მგზავრობას აკაკი ერთი თვე მოუნდა. მაშინ რკინის გზა მხოლოდ მოსკოვსა და პეტროგრად შუა იყო და ფოსტის გზით მიდიოდა. ძმა პეტროგრადში არ დაუხვდა. კანვოები „ცარსკოე სელოში“ გადაეყვანათ და მხოლოდ მეორე დღეს წავიდა აკაკი ძმის სანახავათო.

აკაკიმ, როცა თვისი უფროსი ძმა ნახა, გამოუტყდა მას, რომ სამხედრო სამსახური სურდა, მარა მისთანა ადგილს უნდა შევიდე, რომ ბოლოს ლენერლის შტაბში გადმოვიდეთო. თქვენი „კანვოობა“ კი ხელს არ მომცემსო. ძმას მოეწონა ეს აზრი და უთხრა: დღესვე შეაღწედი რომ დაგბრუნდებით, ჩვენ უფროსთან, პეტრე ბაგრატიონთან წაგიყვან და ის მოგცემს რჩევას და დარიგებასო.

პეტრე ბაგრატიონი იშვიათი კაცი იყო, რომელსაც ჩვენი მგოსანი ორი საოცრათ ხმარებულის სიტყვით ნათლათ ახასიათებს. მან გიციწო აკაკი, გამოკითხა ყველაფერიც და, როცა ბაგრატიონმა ყოველიფერი აკაკის გულის პასუხი გაიგო, მეორე დღისთვის დაიბარა მგოსანით.

„მეორე დღეს პეტრე ბაგრატიონი მართა დამიხვდა თავის კაბინეტში. ჩუბინაშვილის ლექსიკონი გადაეშალა და სინჯავდა. მომისვა გვერდით და მკითხა: გუშინ სხვებთან არ მინდოდა გამომეკითხა, რატომ არ გინდა, რომ ჩემთან შემოხვიდე კანვოიში და შენ ძმასთან ერთად იმსახურო? რას გაჩუმიდი! მითხარი დაუფარავათ, როგორც მამას.

— მე ისიც მწყინს, რომ ჩემი ძმა მანდ არის... მაგან თითქმის ვაათავა გიმნაზია და მანდ კი მისთანა ქართველი უნდა შევიდეს, რომელმაც არა იცის რა და სხვა გზა აღარ აქვს. მე რომ შევხედე, მანდ ცუდლუტობის მეტს ვერას ისწავლის კაცი.—ღენერალმა გაიცინა და ბეჭეზე დამადვა ხელი.

— დრო ბევრი აქვთ და, ვისაც სწავლა უნდა, ვანა ვერ მოახერხებს?

— კი, მარა, სადაც სხვა ყველა ქეიფობს, იქ ერთი რას გააწყობს? ქვეყანა წამხედურობით კეთდება და წამხედურობითვე ირღვევა.

— ოჰო, შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ, როგორც ვატყობ და უმჯობესი არ არის, რომ უნივერსიტეტში შეხვიდე და სამეცნიერო გზას დაადგე? მითხრა ხუმრობით.--სამხედრო სამსახური ასეთი რამ არის, რომ ბევრი მოცალეობა არ გექნება სწავლა-მეცნიერებას გამოუდგე. აი, მეც მარიამ ნიკოლაევენას ქმარს, ლეთხტენბერგის პრინცს ვახლდი ადიუტანტათ, ის დიდი მეცნიერი კაცი იყო, ქიმიკოსიც იყო. მეც ვითომ შემეყვარდა მის ხელში მეცნიერება. მარა, მერე, დრო რომ აღარ დამრჩა, ჩამოვრჩი.

— ეგ ყველაფერი ცხადია, მარა მე სულ სხვა განზრახვით მივდივარ სამხედროში!..

აქ დაწვრილებით ვაგუზიარე მას, რა განზრახვა მქონდა სამხედრო სამსახურში შესვლის... რომ მომისმინა, გადამხვია და მაკოცა.

—ღმერთმა ქნას, რომ სურვილი შეგსრულეზოდეს. მე დღესვე წავალ ჩემ მეგობარ კნიაზ შეხავსკოისთან. ის გვარდიის მსროლელ ბათალიონს უფროსობს, იმას ჩავაბარებ შენ თავს. მამასავით გიპატრონებს და სხვა მაშინ შენ იციო!.. სადილათ დამტოვა... ნასადილევსაც ბევრი რამ გამომკითხა... და წასვლის დროს მითხრა: ახლა „კრასნოე სელოში“ მიდის ჯარი, იქ შეადლოდი იქნება, შემოდგომის დამდეგამდი აღარა იქნება რა!.. მაშინ მოდი ჩემთან, მე დაგაყენებ გზაზეო... მანამდი ამ ორ სამ თვეს-კი სხვაგან სადმე შეინახე თავიო. ჩემმა ძმამაც, რადგანაც კანვოებიც წასასვლელი იყვენ, პეტროგრადს წამეყვანა და მიმეყვანა ქართველ სტუდენტებთან.

მაშინდელი სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო, საზოგადოთ, და ქართველებსაც მათთან ერთათ სხვა ფერი ედვა...

მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუნებურათ მათ წრეში ამოვყავ თავი...

აკაკი შევიდა პეტროგრადის უნივერსიტეტში, ისტორიკო-ფილოლოგიურს ფაკულტეტზე და დაიწყო დიდათ გულმოდგინეთ მაცადინობა და მუშაობა. პირველი იმისი ნაწარმოები, ლერმონტოვის ლექსის ნათარგმნი იყო, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. იმ დროს ერთათ ერთი ჟურნალი მთელ

საქართველოში „ცისკარი“ იყო, რომელიც ვარანცოვის დროს გიორგი ერისთავმა დაარსა. საქართველოდან ვარანცოვი რომ წავიდა, ჟურნალ „ცისკარს“ სუბსიდიაც მოუსპეს და, რადგან საშუალება აღარსად იყო, გიორგი ერისთავმაც თავი მიანება. მოწინავე ქართველებმა იმ წამსვე თავი მოიყარეს და გადაწყვიტეს, რომ გაეგრძოთ „ცისკრის“ გამოცემა და რედაქტორთაც ივანე კერესელიძე მოიწვიეს. ამ ჟურნალის თანამშრომლები იყვნენ: ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, გრიგოლ დადიანი (კოლხიდელო), დიმიტრი ყიფიანი (ბაქარ ქართლელი), მოლექსე დიმიტრი ბერივეი, ლავრენტი არდაზიანი („მეჯღაღლაშვილის“ ავტორი), გრიგოლ რჩეულოვი („თამარიანის“ დამწერი), პოეტი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, გაბო სულხანოვი, ალექსანდრე სავანელი, ანტონ ფურცელაძე. აი, აქ დაიწო მუშაობა ჩვენმა მაღალ ნიჭიერმა მგოსანმა, სადაც აკაკისთან ერთად მუშაობდნენ ილია ჭავჭავაძე და გიორგი წერეთელი. 1860 წელს „ცისკრის“ № 1-ში დაისტამბა აკაკის ლექსი „სადადუმლა ბაზაია“, რომელმაც მთელ რედაქციაში და მკითხველ საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია. ამავე წელს ზედი-ზედ დაისტამბა აკაკისავე „დედაბერ-მამაბერი“, „მოხუცის მოგონება“, „ამაო ძებნა“, „ახლოგაზდა მონადირეს“ და „ალექსანდრა“.

როგორც მოგახსენეთ, „საიდუმლო ბართმა“ დიდი აღტაცება გამოიწვია. ამ ლექსს აკაკის სახელი და გვარი ეწერა ბოლოში, რადგან ასე ებრძანებოდა ნამესტნიკს თავად ბარიათინსკის პლატონ იოსელიანისთვის, რომელსაც გადაეთარგმნა იმისთვის. ბარიათინსკის ძალიან მოსწონებოდა ეს ლექსი და ებძანებოდა: რომ დაბეჭდოთ, ავტორის სახელი და გვარი მოაწერეთო. ეს ლექსი იმ წამსვე სასიმღერო ლექსათ გადაიქცა. „განსაკორებით ქალები იმღერიათ“ სწერენ თფილისიდან ცხრამეტი წლის ახლოგაზდა მგოსანს დარბაისელი კაცები და აკაკის ურჩევნ სახალხო ენით ნუ სწერო. მარა მგოსანი ამბობს: „გადავწყვიტე, რომ თავი დაუდვა მწერლობას, მარა სახალხო ენით და არა დარბაისლურათ ვსწერო...“ მეორე კურსზე რომ იყო აკა-

კი, იმას ქართველი სტუდენტები აუხირდენ და ეუბნებოდნენ: მწერლობაზე ხელი აიღეო. ვასილ თუმანიშვილი, ჯავახიშვილი, ჩოლოყაშვილი და ერთიც სხვა, აღარ მახსოვსო, ამბობს აკაკი, ვინ*). გადაჭრით მოითხოვეს ჩემგან სტუდენტებმა: „ნუ გვარცხვენ შენისკალმით, როგორც უნიჭო და უმეცარიო! ან მწერლობაზე აიღე ხელი და, ან ჩვენ ამხანაგობაზეო. ჩვენ გვყავს ჩვენი მწერალი და შესანიშნავიყო. შენ რაღა მოხველე ხარ, შენის მეტიჩრობით? მე მწერლობაზე ხელი ვერ ავიღე და ჩამოვშორდი სტუდენტებს ყველას, გარდა ორისა. მხოლოდ ეს ორი მამხნევებდა მე, განსაცდელში ჩავარდნილს და მირჩევდა: წერას თავი არ დაანებო და უსამართლობა აიტანე. გულს ნუ გაიტეხო. ამ ორთაგან ერთი იყო ნიკო ნიკოლაძე და მეორე—გაბაძე ლავრთქიფანიძე. თუ ესენი არა, მაშინ შეიძლებოდა, არა თუ მარტო მწერლობისთვის დამენებებოდა თავი, ჩემი თავისთვისაც რამე ამეტეხა!..“

აკაკიმ უნივერსიტეტი ვერ დაასრულა და ვერ აიღო დიპლომი სწორეთ ისე, როგორც ვერ დაასრულეს პეტროგრადის უნივერსიტეტი ჩვენმა მაშინდელმა სასიქადულო, უკვდავმა ქართველებმა: ილია ჭავჭავაძემ, კირილე ლორთქიფანიძემ, ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა.

1862 წელს აკაკი პეტროგრადიდან თფილისს მოვიდა და ეწვია „ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს თავის საკუთარ სახლში. ივანე კერესელიძემ და მისმა მეუღლემ აკაკი დიდის აღტაცებით მიიღეს და სადილოთ აკაკის პატივსაცემლათ მთელი „ცისკრის“ თანამშრომლები დაპატივეს*). მას აქეთ აკაკი „ცისკარს“ არ გაშორებია.

1865 წელს ნიკო ნიკოლაძემ უმეცარიის ქალაქ ციურინში უნივერსიტეტი დაასრულა უფლებათა დოქტორობის ხარისხით და დაიწყო გერცენის „კოლოკოლში“ ფრიად საყურადღებო სტატიების მოთავსება საქართველოს შესახებ. სწორეთ ამავე დროს მან საკუთარი

*) იხ. „როგორ დაარსდა ჩვენი გაზეთი“. აკაკისა. „თემი“ № 93. 1912 წ.

**) იხ. „არტი შეხვედრა“. აკაკისა. „კვალი“ № 2 1893 წ.

ორგანო „სოცრემენსტი“ გაიჩინა, რომელმაც დიდი სიცოცხლე და მოძრაობა გამოიწვია საზღვარ გარეთაც და რუსეთშიაც. როცა გიორგი წერეთელმა „დროება“ მიატოვა და იძულებული შეიქნა გერმანიაში გასულიყო, საქართველოს რაღაც ბედზე ნიკო ნიკოლაძე მოველინა. იგი დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან თფილისში. „ნიკთან და სწავლა-განათლებასთან, ამბობს აკაკი, ქონებრივი შეძლებაცნებას აძლევდა მას, რომ ის მეთაურობა ახალთაობის, რომელიც ილია ქავჭავაძეს ქონდა მისის გუნდით ჩავარდნილი ხელში, ნიკო ნიკოლაძეს ქონდა დაკისრებული... ნიკო ნიკოლაძე მივიდა გუბერნატორის კანცელარიაში მოსამსახურე სერგეი მესხთან, გამოიყვანა სამსახურიდან და დააყენა „დროების“ რედაქტორათ. ამიერიდან „დროება“ ყოველდღიური გაზეთი შეიქნა. ერთხელ ფელეტონი დაიბეჭდა „დროებაში“ სათაურით: „ცხელ-ცხელი ამბები“. თუ ვისი იყო ეს სტატია, სახელი არ იყო მოწერილი. ამ ფელეტონმა ყველას დიდი ყურათღება მიიქცია. ახრიალდენ... ალაპარაკდენ: ვინ უნდა იყოს ამის დამწერიო და ნიკო ნიკოლაძეს მიაწერეს, რადგან მხოლოდ მისგან გამოვლოდენ ამგვარ რასმეს. მარა თვითონ ნიკოლაძემ კი ეჭვი აიღო, ვისიც დაწერილი იყო და მოვიდა ჩემთან, გამიმართა საუბარი და, სხვათა შორის, მითხრა:

— მიკვირს შენი აზირებულობა!.. ყმაწვილი ხარ, ახალთაობას ეკუთვნი სულით და გულით და ძველებში კი გადასულხარ და იქ მუშაობ!.. ჩვენ გვინდა ახალი წრე შევადგინოთ ახალთაობის, „დროება“ ხელში გვეჭირება—სერგეი მესხს, გიორგი წერეთელს, მე და შენ...

— მე რაღას მოგეხმარებით?
 — ბევრს არას გთხოვთ: სხვათა შორის, ფელეტონები გვიწერე „ცხელ-ცხელი ამბები“, შენა გგონია, რომ ის „ცხელ-ცხელი ამბები“ რომელსაც მე მაწერენ, არ ვიცი, რომ შენი დაწერილია? არა! არა! აქ რა გინდა ქუთაისში? შენი ადგილი რედაქციაშია.

— ვთქვით, რომ ყველა ეს მართალიც იყოს, მერე რჩენა არ მინდა? აქ როგორც არის გიორგი ქილაძის შემწეობით იოლათ მივდივარ და იქ, რაღა მეშველება?

— იქ ბინა რედაქციაში გექნება და ჩემი საკუთარი ჯიბიდან თვეში ხუთ თუმანს გაძლევ და იყოფინე. ზოგი ეს მითხრა, ზოგი ის, დამიყოლია*). მეც ჩავედი თფილისში და ამოველდექი გვერდით რედაქტორს. მარტო ჩემ თავზე რომ მივიღო, ბევრი იქნება. მარა, რადგანაც იმავე დროს ჩემთან ერთათ სხვებიც მუშაობდენ, მაგალითად: ნიკოლაძე სწერდა პუბლიცისტურ და კრიტიკულ სტატიებს, სერგეი მესხი—მეთაურებს, გიორგი წერეთელი ისტორიულ ნაკვთებს და მოთხრობებს, ხელის მომწერლები მოემატა და ავიდა შეიდასამღი...“

ამის შემდეგ, აკაკის თვისი დიდი მადლიანი კალამი ხელიდან აღარ გაუგდია და მთელი თვისი არსებით გულწრფელათ და უანგაროთ ემსახურებოდა ქართულს ლიტერატურას, რომელსაც დიდი პატივი და სახელი მოუპოვა ამ ქვეყნათ...
ხომდელი.

(შემდეგი იქნება).



შენიშვნები

ბატ. ს. ქავთარაძის ლექციის გამო.

22 თებერვალს ბატ. ს. ქავთარაძემ ქუთაისის ქალაქის თეატრის დარბაზში ლექცია წაიკითხა შემდეგ თემაზე: „ომის ნამდვილი მიზეზები“.

ლექციის უმეტეს ნაწილს რუსეთ-გერმანიის ეკონომიურ ურთიერთობის განხილვა შეადგენდა, ვინაიდან, ლექტორის აზრით, ეს ურთიერთობა, როგორც მათ შორის არსებულ სავაჭრო ხელშეკრულებათა შედეგი წარმოადგენს ნამდვილ მიზეზს გერმანია და რუსეთ შორის ამტყდარ ომისას.

ამ დებულების დასამტკიცებლათ ბ. ს.

*) დიდათ პატივცემული, დამსახურებული ლიტერატორი გიორგი მიხ. თუმანოვი შემცდარია, როცა ამტკიცებს, რომ აკაკი სერგეი მესხმა ჩააბა ქართულ მწერლობის ფერხულში (იხ. გასული თვის „Кавказское Слово“). დღეს-კი, თვით აკაკის სიტყვებიდან ნათლათ ჩანს, რომ, არა თუ აკაკი გამოუყვანია მწერლობის უკვეთა ვთქვით, ჟურნალისტიკის ასპარეზზე სერგეი მესხს, თვით სერგეი მესხი ბატ. ნიკო ნიკოლაძის შემწეობით და ხელმძღვანელობით გამოვიდა მწერლობაში.
 ავტ.

ქავთარაძე იმოწმებს პრივატ-დოცენტის ი. გოლდშტეინის ნაწერებს. მარა, როგორც ჩანს, მას კარგათ ვერ გაუგია ეს ნაწერები. გოლდშტეინი ომში კი არ ხელავს გერმანიის გავლენიდან ემანსიპაციის საშუალებას. გოლდშტეინის აზრით, საჭიროა ახალ ხელშეკრულების შესახებ მომავალ მოლაპარაკებას უფრო მომზადებული დავხვდეთ, საფუძვლიანათ შევისწავლოთ ეკსპორტ—იმპორტის საქმე და, ამისდამიხედვით, მკაფიოთ გამოვარკვიოთ ჩვენი მოთხოვნილებანი. ამ მიზნით, მთავრობის დავალებით, თვით ბ. გოლდშტეინი გაემგზავრა დასავლეთ სახელმწიფოებში საქმის ადგილობრივ შესასწავლათ, და აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკასა და კანადაში. გარდა ამისა, გოლდშტეინის აზრით, საჭიროა ჯეროვანი ყურათღების მიქცევა, გარდა გერმანიისა სხვა სახელმწიფოებს. რომ მათთანაც მკიდრო ეკონომიური კავშირი დავიკავოთ.

ბ. ს. ქავთარაძე ურევდა ერთმანეთში სხვა და სხვა ცნებებს, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ ის საგანს კარგათ არ იცნობს: რუსეთით, განაცხადა მან, დიდი ხანია, სხვა ქვეყნებთან ეკონომიურ ურთიერთობაში * ჩაება და, ამის გამო, სადამოყენო პოლიტიკის წარმოებას, ე. ი. სხვა და სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულების ჩამოგდებას შეუღვაო. ჩანს, ბ. ს. ქავთარაძის აზრით, სადაც სადამოყენო პოლიტიკაა, იქ სავაჭრო ხელშეკრულებაც უნდა იყოს. ნამდვილათ-კი ეს ასე არ არის. რუსეთი დიდი ხანია სადამოყენო პოლიტიკას აწარმოებს, მარა სავაჭრო კონვენტია, მან პირველათ 1894 წელს შეკრა. მანამდე ის აწარმოებდა ავტონომიურ სადამოყენო პოლიტიკას, მისი სადამოყენო ტარიფი ავტონომიურა, გენერალურა იყო და არა განკენცაურა. ასეთივე ავტონომიურ პოლიტიკას აწარმოებს ინგლისიც. მარა ბ. ს. ქავთარაძის ლოლიკით ინგლისში, სადაც ვაჭრობის თავისუფლება არსებობს, არც უნდა არსებობდეს სადამოყენო პოლიტიკა, ვინაიდან, მისი აზრით, სადამოყენო პოლიტიკის ერთათ ერთი მიზანია შახაურ მრეწველობისთვის ხელის შეწყობა. ნამდვილათ სადამოყენო ტარიფი აუცილებლათ არ გულისხმობს შინაურ მრეწველობის ინტერესებს. შესაძლებელია ტარიფის დაწესებაში მთავრობა ფასკალურა მოტივებით ხელმძღვანელობდეს, მისთვის სადამოყენო გადასახადი შემოსავლის წყაროს შეადგენდეს.

სწორეთ ეს ფისკალური ხასიათი აქვს ინგლისის სადამოყენო პოლიტიკას. პროფესორ სობოლევის აზრით, რუსეთის სადამოყენო პოლიტიკასაც უფრო ფისკალური მიზანი ქონდა, ვიდრე პროტექციონისტული და, გარდა ამისა, მთავრობა ცდილობდა, რომ მისი სავაჭრო ბალანსი აქტიური ყოფილიყო, რადგან ეს ერთათ ერთი საშუალება იყო სავადასახადო ბალანსის გასაუმჯობესებლათ*).

ბ. ს. ქავთარაძე შეეხრა აგრეთვე 1894 წლის რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების ისტორიას და თქვა, რომ გერმანიასა და რუსეთ შორის მოლაპარაკება იმით გათავდა, რომ რუსეთმა დაუთმო გერმანიასა. ბ. ს. ქავთარაძის აზრით, ეს ასე იმიტომ მოხდა, რომ რუსეთი მეტისმეტათ სუსტი იყო და გერმანიასთან ომი არ შეეძლოვო. აშკარაა, ბ. ს. ქავთარაძეს წარმოდგენაც არა აქვს ამ ხელშეკრულების ისტორიაზე. ჯერ ერთი, რუსეთის სამხედრო პრესტიჟი იმ დროს ევროპაში ძლიერი იყო და გერმანიაც ალექსანდრე მე-სამის დროს ისე თამამათ არ გრძნობდა თავს, როგორც 1904 წელს. მეორე, დათმო არა მარტო რუსეთმა, არამედ გერმანიამაც. თუ კი მოლაპარაკებამ მწვევე ხასიათი მიიღო, ეს შემდეგი გარემოებით აიხსნება:

1868 წელს რუსეთმა 1822 წლის ამკრძალვად ტარიფთან შედარებით უფრო ზომიერი ტარიფი შემოიღო, მარა ეს ტარიფიც საგრძნობლათ მალალი იყო.

სობოლევის აზრით, ამ ტარიფში არ მოიძებნება ისეთი გადასახადი, რომელიც არ უდრიდეს საქონლის ფასის 25—35%—ს**). ზოგიერთი საქონლის გადასახადი კი 300%—საც აღემატებოდა, მაგ. ანილინის საღებავი.

1877 წლიდან რუსეთი სისტემატიურათ თითქმის ყოველ წელიწადს უმატებს სადამოყენო გადასახადებს და, უკანასკნელათ, პირველ სავაჭრო ხელშეკრულებამდე 1891 წელს ამ გადასახადებმა უმწვევრვალეს ხარისხამდე მიაღწია. იმის დასახასიათებლათ, თუ რა დიდი განსხვავება იყო 1868 წ. ტარიფსა და 1891 წლის ტარიფს შორის, მოვიტან შემდეგ ციფრებს:

*) М. Н. Соболевъ. Таможенная политика Россiи во второй половинѣ 19-го вѣка.
 **) М. Н. Соболевъ. Таможенная политика Россiи во второй половинѣ 19-го вѣка. Ст. 303.

გადასახადი თითო ფუთზე.
 1868 წელს. 1891 წელს.
 თუჯი 5 კაზ. 45—52 კაზ.
 რკინა 20—80 კაზ. 90—1 მან. 50 კაზ.
 რელსები 20 კაზ. 90 კაზ.
 სავაჭრო და სა- 30 კ. 2 მ. 50 კ.
 ქარხნო მანქანები
 ორთქლმზიდველები 75 კ 3 მან.*)

1891 წელს გერმანიამ შეკრა სხვა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან სავაჭრო კონვენციები, რომლის ძალით ახდევინებდა ამ სახელმწიფოებიდან შემოტანილ საქონელზე დაკლებულ გადასახადს, (ასეწოდებული, კონვენციური, ხელშეკრულებითი ტარიფი) დანარჩენ სახელმწიფოთათვის, მათ შორის, რუსეთიც შედიოდა, დააწესა მომატებული გადასახადები (ასე წოდებული, საერთო, ან გენერალური ტარიფი). იმ დროს, როდესაც ერთ ფუთ პურზე კონვენციურ ტარიფის ძალით ახდევინებდნ 26,5 კაზ., გენერალურ ტარიფით 37 კაზ. იყო გადასახადი. ეს რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი არ იყო და მან მოთხოვა გერმანიას, მიეცა მისთვის იგივე შეღავათები რომელიც სხვა მოკავშირე სახელმწიფოებს ეძლეოდა. თავის მხრივ დაპირდა, 1891 წლის ტარიფს არ მოეცუებოდა გერმანიის საქონელზე, ესე იგი, დაპირდა ამ წლის ტარიფის განმტკიცებას გერმანიისზე. გერმანია, რასაკვირველია, არ დათანხმდა და თვით ტარიფის შემცირება მოითხოვა. ამასზე რუსეთმა გერმანიის საქონელზე 20—30% -ით მომატებული გადასახადი დააღო. გერმანიამ ამის საპასუხოდ 1879 წლის კანონის ძალით რუსეთის საქონელზე 50% მოუმატა გადასახადი. რუსეთმაც ამითვე უბასუხა. ამნაირათ, ორივე სახელმწიფოებმა დაადვეს ერთიმეორის საქონელს საბრძოლველი გადასახადი და ამ სადამოყენო ბრძოლამ დიდი ზიანი მიაყენა, არა მარტო რუსეთის ვაჭრობას, არამედ გერმანიის ვაჭრობას და ნავოსნობასაც.

ამ ვაჭროვებამ აიძულა ორივე მხარე დათმობის გზას დადგომოდნ და კიდევაც ჩამოვარდა მათ შორის სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც 8 მარტს 1894 წელს ძალაში შევიდა. გერმანიამ ზოგიერთ საქონელზე არსებული გადასახადი შეამცირა და, საზოგადოთ, მისაც რუსეთს ყოველივე ის შეღავათი, რომელიც სხვა მისი მოკავშირე სახელმწიფოები სარგებლობდნ. რუსეთმაც შეამცირა 1891 წელს დაწესებული გადასახადები.

*) Материалы по пересмотру торгового договора съ Германіей, изд. Глав. Упр. Землед. и Землеустр. 1912 г. вып. I.

გერმანიამ	რუსეთმა
1891 წ. 5,779,317 მ.	9,490,320 მ.
1895 „ 6,333,805 „	13,597,267 „
1896 „ 7,981,779 „	15,464,268 „
1897 „ 8,871,984 „	15,809,133 „
1898 „ 9,961,518 „	13,554,335 „*)

ყველაფერი ეს რადიკალურათ ეწინააღმდეგება ბ. ს. ქავთარაძის მსჯელობას ამ ხელშეკრულების შესახებ.

1904 წლის ხელშეკრულებასაც ბ. ს. ქავთარაძე მეტისმეტ ზედპირულათ შეეხზა: მან გვამცნო, რომ ბიულოვმა 1902 წელს გაიყენა პროექტი ამ ხელშეკრულების, რომელსაც მთლად უნდა დაემონავებია რუსეთითა და რუსეთიც 1904 წელს იძულებული იყო მაზე ხელი მოეწერაო. ჩანს, რომ ბ. ს. ქავთარაძე არც 1904 წლის ხელშეკრულების ისტორიას იცნობს.

ბიულოვმა 1902 წელს შეიტანა პროექტი გენერალურ ტარიფის, რომელიც შეიცავდა მაქსიმალურ და მინიმალურ გადასახადებს, ასე, რომ კონვენციუმა ტარიფი მოკავშირესთვის უკეთეს შემთხვევაშიც მინიმალურ გადასახადზე დაბლა არ დაიწეოდა. მხოლოდ ეს მინიმალური გადასახადი რუსეთის უმთავრეს საექსპორტო სავანზე თვით 1891 წლის გენერალურ ტარიფსაც აღემატებოდა.

მაგალითად,	
1894 წელი	1902 წ
გენ. ტ. კონვენციური ტ.	გენერ. ტ.
ქვავი 37,9 კ.	26,5 კ.
ქობალი 37,9	26,5
შვრია 30,3	21,2
ქერი 19,0	15,1
	მაქს. გ. მინ. გ.
	53 კ. 37,9 კ.
	56,8 41,6 „
	53,0 37,9 „
	53,0 30,3 ²⁾

1903 წელს რუსეთმა შეიმუშავა ახალი გენერალური ტარიფი, რომელიც 1891 წლის ტარიფსაც აღემატებოდა.

15 ივლისს 1904 წელს დამტკიცდა ახალი ხელშეკრულება რუსეთ-გერმანიის, რომლის ძალით გერმანიამ რუსეთის პურზე მინიმალური ტარიფი დააწესა. რუსეთმა ამის საპასუხოდ მოუმატა გადასახადები გერმანიის ექსპორტის უმთავრეს სავანებზე, მაგ. მანქანებზე. რუსეთი იძულებული იყო დათანხმებოდა ამ ხელშეკრულებას სწორედ იმ მიზე-

*) Материалы и. пр. вып. I.

2) Материалы. Вып. I.

ხების გამო, რომელიც აღნიშნა ბ. ს. ქავთარაძემ (შინაური და საგარეო ბრძოლა და სხვ.). მარა კატეგორიულათ იმისი თქმა, რომ ხელშეკრულება დამღუპველი ყოფილიყოს რუსეთისთვის, შეუძლებელია. ჯერ ერთი, საერთო გადასახადები რუსეთიდან გერმანიაში შესულ საქონელზე, შედარებით, უფრო მცირეა, ვიდრე გერმანიიდან რუსეთში შესულზე*).

ბ. ს. ქავთარაძე იმის დასამტკიცებლათ, რომ 1904 წლის ხელშეკრულებამ რუსეთი დაიმონავა, მოიტანა ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპორტის 52% გერმანიას ეკუთვნის. მარა თითქმის ასეთივე თვალსაჩინო ალაგი უკავია რუსეთს გერმანიის იმპორტშიდაც და, საერთოდ, სავაჭრო ბალანსი გერმანია-რუსეთ შორის, მიუხედავად 1904 წლის ხელშეკრულებისა, აკტიურია რუსეთისთვის.

თუ რამე უშლის ხელს რუსეთის პურის ექსპორტს გერმანიაში ეს თვით ის პირობებია, რომელიც რუსეთშივე არსებობს. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ მთავარ სამიწათმოქმედო გამგეობის მიერ გამოცემულ ფონშულცის გამოკვლევაში: „вопросъ о потребленіи нашей пшеницы западно-европейскими рынками, а, въ частности германскимъ никоимъ образомъ нельзя разсмотривать съ узкой точки зрѣнія таможеннаго обложенія**“).

კობ. ა. სავაჭრო ფორმარეველში ამბობს, რომ რუსეთის პურის ექსპორტს ხელს უშლის უსუფთაობა***).

ამ დასკვნადი მიღის ბ. შულციც თავის გამოკვლევაში.

სამხრეთ დასავლეთ რკინის გზის საზოგადოება ამბობს: незначительность складныхъ помѣщеній на желѣзныхъ дорогахъ для храненія хлѣба, съ одной стороны, и слабая организація кредита на мѣстахъ, — съ другой, своей — совокупностью создаютъ совершенно ненормальныя условия отечественной хлѣботорговли, заставляя земледѣльцевъ выбрасывать осенью на рынокъ огромное количество хлѣба. Этотъ хлѣбъ скупается, главнымъ образомъ, нѣмецкими экспортерами, от-

правляется въ Германію въ многочисленныя элеваторы и зернохранилища, гдѣ и хранится до болѣе удобнаго момента продажи*“).

ამას მიუმატეთ კიდევ ის, რომ რუსეთის ფირმები თავის დროზე არ ასრულებენ თავიანთ კონტრაქტებს; არბიტრაჟების რიგინი მოუწყობლობა რუსეთში, სარკინისგზო პოლიტიკა და მრავალი არანორმალური პირობები და, თქვენ ადვილათ გაიგებთ, თუ რატომ უწევენ სამეურნო ბაზარზე რუსეთს მძლავრ მეტოქობას სხვა სახელმწიფოები, როგორც მაგ. ჩრდილოეთ-ამერიკა, კანადა და სხვ.

რუსეთის სამეურნო ექსპორტს ნაძალადევი ხასიათიც აქვს. რუსეთის ხალხი იძულებულია მთელი ქვეყანა აძლოს და თვითონ სისტემატიურათ შიმშილი განიცადოს, რომ საგადასახლო ბალანსი გაასწოროს და ამით რუსეთის ოქროს ვალუტა დაიცვას, ის ვალუტა, რომლის შემოღების შეძლება ს. ვიტცეს რუსეთის ხალხის მე-90 — წლების შიმშილმა მისცა.

როდესაც რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენის მიზეზათ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას აცხადებენ, ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება ავიწყდებათ: 1904 წლის კონვენციაში ძალაში დარჩა 1894 წლის კონვენციის მე-6 მუხლი, ასეწოდებული, ხელისშემწყობი მუხლი (პარაგრაფი о наибольшемъ благопріятствованіи), რომლის წყალობით „ყოველი შეღავათი და უპირატესობა, შემოსატან გადასახადის ყოველი შემცირება, გენერალურ, ან კონვენციურ ტარიფებში, — რომელსაც ერთი მოკავშირე მხარე მესამე სახელმწიფოს აძლევს ვადით, ან უვადოთ, უმალვე და აუცილებლათ ეძლევა მეორე მოკავშირე მხარესაც**“).

თუ სხვა სახელმწიფოებსაც იგივე უფლება აქვს გერმანიაში, რაც რუსეთს ეძლევა, საკვირველია, რატომ რუსეთი დაიმონავა გერმანიამ ხელშეკრულების ძალით და არა სხვა ვინმე? ჩანს, მიზეზი ხელშეკრულებაში კი არ ყოფილა, არამედ თვით რუსეთშივე არსებულ პირობებში. სწორეთ დღეს რუსეთის ბურჟუაზული პრესა მაღაყს ამას დედილობს ყოველივე უბედურება გერმანიას გადააბრალოს...

სამეურნო პროდუქტების გარდა, ბ. ს. ქავთარაძე შეეხო ნედლს მასალებს და წამოაცენა ყოვლად შეუწყნარებელი დებულება,

*) ibid ст. 42.

**) Матеріалы и пр. вып. 5.

*) Матеріалы по пересмотру торговаго договора съ Германіей вып. I ibid ст. 77 — 78.

**) А. Фон-Шульцъ. Исслѣдованіе о производствѣ и торговлѣ Германіи продуктами полеводства за 30 лѣтъ въ связи съ русско-германскимъ торговымъ договоромъ.

***) Положеніе нашего экспорта хлѣбовъ, вып. VIII изд. Россійск. Экспорт. палатой ст. 41.

თქვა, —სადამოყენო გადასახადებით გერმანია ხელს უშლის რუსეთს ნედლ მასალების გასაღებაშიო. სწორეთ დღეს მთელი რუსეთის პრესა იმაზე ყვირის, რომ გერმანია რუსეთის ნედლ მასალებს ყიდულობს და მათ გადამუშავებულს ჩვენვე გვიგზავნისო, და მით კოლონიათ ხდის რუსეთსო. ბ. ს. ქავთარაძე ამ დროს გაიძახის ქუთაისის თეატრში, გერმანია კარს უკეტავს რუსეთის ნედლ მასალებსო, რომ ბ. ს. ქავთარაძეს თვისი ლექცია ცუდათ გაგონილ ამბავებზე არ დაემყარებია, —და ხელშეკრულების ტექსტს გაცნობოდა, ერთი სიტყვით, საგანი კეთილსინდისიერათ დაემუშავებია, ის დაინახავდა, რომ ფაბრიკა ქარხნებისთვის საჭირო ნედლი მასალა გერმანიას, ან უბაჟოთ შემოაქვს, ან და მცირე ფისკალურ გადასახადს ახდევინებს. თუ კი რუსეთი ვერ ახერხებს თვისი ნედლი მასალა თვითონვე დაამუშავოს, კს თვით იმ ეკონომიურ პოლიტიკის ბრალია, რომელსაც რუსეთი აწარმოებს და, რომელიც მთელ რუსეთის სოციალურ პოლიტიკურ პირობებთან არის შეკავშირებული...

რაც შეეხება ფაბრიკატებს, გერმანიამ თლათ რომ გაუღოს კარი რუსეთის ინდუსტრიის ნაწარმოებს, უკანასკნელი მას მცირე მეტოქობას ვერ გაუწევს. და, თუ გერმანიამ ხელი შეუშალა რუსეთის მძლავრი სადამოყენო ზღუდეები ბაბილონის კედლათ ქცეულ იყო, ეს მას მიწუსათ სრულებით არ ჩაეთვლება.

ბ. ს. ქავთარაძემ უარყო ყოველგვარი მზრუნველობა ვაჭრობა მრეწველობაზე და თავისუფალი ვაჭრობა აბსოლუტურ ქეშმარიტებათ გამოაცხადა, ბ. ს. ქავთარაძეს, როგორც ჩანს. ვაჭრობა მრეწველობაზე ზრუნვა და სადამოყენო პოლიტიკა და პრემიები იდენტიურ ცნებათ მიაჩნია. ნამდვილათ კი პირველი ცნება უფრო ფართოა, ვიდრე მეორე და შეიცავს არა მარტო სადამოყენო გადასახადს და პრემიებს, არამედ გზების გაუმჯობესობასაც, კრედიტის რიგთან ნიადაგზე დაყენებასაც, კოოპერატივების ხელის შეწყობასაც, ელევატორების აშენებასაც და მრავალ სხვა ზომებს, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება ველურობას ნიშნავს. რაც შეეხება თავისუფალ ვაჭრობას, მის აბსოლუტურ ქეშმარიტებას არ იზიარებს არც ის ჰილფერდინგი, რომელზედაც მიგვიითია ბ. ს. ქავთარაძემ თავის ლექციაში და არც კაუსკი*). ჰილფერდინგის აზრით, თუ აღმზრდელ


სადამოყენო გადასახადების გამო, აგებს მუშა, როგორც მხმარებელი, გებულობს, როგორც მწარმოებელი.

რასაკვირველია, თავისუფალი ვაჭრობა მიზანია სალი ეკონომიურ პოლიტიკის. აღმზრდელი გადასახადი უნდა იყოს ზომიერი, ის თან და თან უნდა კლებულებდეს და, ბოლოს, კიდევაც უნდა მოისპოს.

ბ. ს. ქავთარაძე-კი მსჯელობს, უფრო მარტივათ, ალბათ, იმიტომ, რომ ეს უფრო ადვილია.

ბ. ს. ქავთარაძემ ერთი სიტყვით ვერ გამოიჩინა ის მინიმალური ცოდნა, რომელიც ყოველ ლექტორს მოეთხოვება, სდაც უნდა კითხულობდეს ის ლექციას. ფრიად სამწუხაროა, რომ ასეთმა მოვლინებამ ჩვენს სამშობლოში სისტემატიური ხასიათი მიიღო.

ვლ. ეუჭვარა.



აკაპის სახელგობის სამართხველო სოფელ ოფურჩხეთში.

ხსენებული სოფელი მდებარეობს ქუთაიი სიდან 10 ვერსის მანძილზე. რაქა-ლეჩხუმში მიმავალ სამხედრო შარა გზა მას შუაზე ჩაუვლის და რიონის შვენიერ ხეობაში მთა-გორაკზე არის გაშლილი. შარა გზის მეოხებით ეს სოფელი ძლიერ დასამხრობი მთელბუნებოანი საფარაკო ადგილთაგანია ქუთაისის მახლობელ სოფლებში წმიდა, მთის ჰაერით შემკული.

ეტლებით საუკეთესო მიმოსვლის წყალობით ამ სოფელს ქუთაისის მრავალი მცხოვრები იცნობს, რადგან აქეთკენ ზაფხულობით ხშირათ დაიარებიან სასეირნოთ. ქუთათურებს ამ სოფლის ერთგვარი ბუნების საუცხოვო სანახაობაც იზიდავს. ესაა აქაური წყაღვარდნილი, ჩანჩქერი (водопадъ) რიღვა. ეს წყალვარდნილი გადმოდის მდინარე რიღვის მაღალი შავი ქვის კლდიდან 25-30 საჯნის სიმაღლეზე.

შვენიერ სანახაობას წარმოადგენს მდ. რიღვის ჩანჩქერი ნაწუმარზე, როცა ეს ღელე მომატებულია, წყალი ჩვეულებრივ კალაპოტს გადალახავს და ამოდენა სიმაღლიდან მდინარე დიდის შხუილით გადმოხვთქს და ვარდება შავი კლდის ძირში, სადაც ხშირათ კალმახიც იცის. და, თუ წყალდიდობის დროს მოღრუბლულ ჰაერში მზეც გამობრწყინდება და თავის მაცოცხლებელ სხივებს ამ შვენიერ შად-

*) იხ. უკანასკნელის წიგნი. Торговые договоры и торговая политика.

რევანს მიაშუქებს, — მაშინ რიღვის წყალვარდნილი ლალი ბუნების ზეწარმტაც შვენიერ სანახაობას წარმოადგენს და ამ სურათის მნახველი მას თვალს ვეღარ მოაშორებს.

ქუთაისიდან ამ ბუნების სიშვენიერის სანახავათ მრავალი ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოსწავლე და მასწავლებლები ამოდიან ხოლმე საგზლით, დილიდან საღამომდე აქ რჩებიან და საღამოს ნასიამოვნები ბრუნდებიან შინ. ამ რიგათ, მოსწავლე ახალგაზღვრებისთვის ეს სოფელი თვისი შვენიერი მდებარეობა ჰაერით და ბუნების საუცხოვო სანახაობა — ჩანჩქერით ერთჯერად საექსკურსიო ადგილ მისავალ ადგილათ გადაქცა და მისი ნახვა ბევრს ენატრება.

ხოლო, რაკი ეს ბუნების სიმდიდრე ყველასთვის უფასო სანახაობას შეადგენს და ადგილობრივ მკვიდრს მისგან არაფერი სარგებლობა აქვს, მებატრონეებიც არ ცდილობენ შარა გზიდან მესამედი ვერსის მანძილზე დელო პირათ ხეირიანი საქვეითო გზა გააკოთონ, რომ ჩანჩქერის მნახველებს კლდე-ღრიან ადგილში მიმოსულა გაუადვილონ. ქალაქის მახლობლათ, ბუნების მხრით, ასე შემკული სოფელი სხვა კულტურულ ქვეყნებში ერთი საუკეთესო სააგარაკო ადგილი იქნებოდა. მარა ძვირფასიან კურორტებში, მღელვარე ცხოვრების მოტრფილე მაღალი წრის წარმომადგენელნი ასეთ სოფლებში დასვენებას თითო-ორი კვირაობითაც როდი კადრულობენ. მათ სული და გული სასენსაციო კურორტებზე მიერჩისთ, სადაც ჰაერიც მოწამლულია და სიძვირეც საარაკოა...

სოფ. ოფურჩხეთი იმერეთის სხვა მისგვარ პატარა სოფლებთან შედარებით არც განათლების მხრით არის ჩამორჩენილი. აქ სამი წლის წინათ ადგილობრივ მკვიდრის მასწავლებელი (ე. კ — ძის) კახისის მაცადინეობით დაარსეს ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა, რომელშიაც შესვლას ოფურჩხეთის საზოგადოების მკვიდრთა (გლეხების და აზნაურების) შვილები ძლიერ დაეწაფენ და ერთხანს აქ ასამდე ქალ-ვაჟნი იძენდენ სწავლა-ცოდნას, ეჩვეოდენ წერა-კითხვას. მარა თავდაპირვანდელ მოსულ მასწავლებლის მეოხებით ნახევარი წლის განმავლობაში შკოლას 15-20 შეგირდიც აღარ შერჩა. უხეირო, მოქეიფე (როგორც ადგილობრივი მკვიდრი მას ახასიათებდა და დღესაც ამ მხრით იგონებენ მას) მასწავლებლის ხელში მშობლებმა თავიანთი შვილები ახალ შკოლას ჩა-

მოაცილეს და, რაკი ატყობდენ უხეირო მასწავლებლის ხელში მათი ბავშვები ცდებოდენ, ვერას იძენდენ, ისევე ანგარიშიანმა იმერლებმა მოზარდების მუშა ხელი ოჯახს დაუბრუნეს.

დღეს დღეობით ხსენებულ შკოლაში ძველი მასწავლებელი (ს-ნიძე) აღარ მასწავლებლობს, შკოლა აბარია და მას ხელმძღვანელობს ადგილობრივი მკვიდრი მასწავლებელი (ეგვაჟ-5 ი კვიცარიძე), რომელიც სულით და გულით ცთილობს აღუდგინოს შკოლას პატარა ხნის განმავლობაში დაკარგული ადგილობრივ მცხოვრებლების თანაგრძობა და მოუპოვოს მას ნამდვილი შკოლის არა მარტო სახელი, სახრავიც, შეაყვაროს იგი დაბიო ხალხის შვილებს.

ოფურჩხეთის საზოგადოებამ, აგერ, ერთი წელიწადია აუშენა შკოლას 2500 მან. ღირებული შვენიერი ხის კიგიენური შენობა ადგილობრივ მცხოვრებ ქველმოქმედის ბიკტოფ ჯგაფიანის მიერ შეწირულ მიწაზე, სასოფლო სასამართლოს გვერდით. ამ შკოლაში დღეს 50-ღი გლეხი კაცის შვილები სწავლობენ და, რაკი იგი ხსენებულ საზოგადოებისთვის შუაგულ ადგილზეა აშენებული, მოსალოდნელია მას შეგირდები ყველა მახლობელ სოფლებიდან მოაწყდება ორთავე წოდებიდან და, ამ ნაირათ, ეს საგანმანათლებლო, სახალხო დაწესებულება შეიქნება აქაურ ხალხის გამათვითცნობიერებელ-შემკავშირებელ კულტურულ ცენტრათ, შუაგულათ. ეს სოფელი მეტათ დასამხრობი ადგილია რიონ ვალმა საუკეთესო სოფლების: ზანათის და რიხისთვისაც, რომლებიც აგრეთვე ბუნებრივ მდებარეობითაც არიან დაჯილდოებულნი და სახალხო შკოლებიც კი ხანია მოგვარებული აქეთ.

ამნაირათ, ოფურჩხეთის შკოლაზე, იმედია ხალხი თავდაპირვანდელ დროებით გულგრილობას მიივიწყებს, მაზედ გულს მოიბრუნებს, თავიანთ შვილებს აქ წერა-კითხვის სასწავლათ გაგზავნიან, სწავლა-ცოდნას შეაძენიებენ და ამით, როგორც თავიანთ ოჯახებს, ისე აქაურ საზოგადოებას და შემდეგ ქვეყანას სასარგებლო წევრებს შექნენ...

ამ მიზნის განსახორციელებლათ, ოფურჩხეთის საზოგადოებას დღეს მეორე მათივე სოფლის შვილი (ის. კვიცარიძე) გარედან ხელის წყობას პირდება. მან, რაკი დაინახა

რომ მის მეზობლებს სწავლა-განათლებისკენ ეიზიდულება აღეძრა და იგი თანდათან უღვივდება, ხსენებულ შკოლასთან ერთათ კაი ხანია განიზრახა სამკითხველ-ბაიბლოთეკის დაარსება. ასეთი განზრახვა მას აქ შკოლის გახსნის დღიდან ქონდა და ელოდა მოხერხებულ დროს მის გასახორციელებლათ.

ასეთ შემთხვევათ მან მიიჩნია აწ განსვენებულ დიდებული ქართველი მგოსნის აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დრო, როცა ბ. ის. კვიციანიძემ მოინდომა მოგზაური მგოსანი ამ სოფელში გზათ გავლისას მიეპატიუნა შკოლაში და შეხვედრილ ხალხთან ერთათ გამოეცხადებინა თავის სურვილი ამ სოფელში შეჭლასთან აკაკის სახელობის სამკითხველთს დაარსებისა.

მარა ქუთაისიდან ნაჩქარებათ დაწყებული მგოსნის მოგზაურობა იმ დროს ოფურჩხეთლებმა, ადგილობრივ ხელის შემშლელ პირობების გამო, აქ მგოსნის შეხვედრა ვეღარ მოაწყვეს და განზრახული გეგმა ამ მოგზაურობის გამო აქ აკაკის სახელობის სამკითხველოს გახსნისა აღარ მოხერხდა. ამგვართ, მისმა გამომწყვებმა, ადგილობრივმა მკვიდრმა (ის კვიციანიძემ) აკაკის საპატივემლო მაშინდელი სურვილი ვეღარ გაახორციელა.

ხოლო მის (აკაკის) სიცოცხლეში გამოწყებული ეს საგანმანათლებლო საქმე, დღეს, მის სიკვდილს შემდეგ, დაგვირგვინდა. ოფურჩხეთში კი მის ერთ მახლობელ პატივემელთაგანს მხოლოდ 29 იანვარს, როცა ქართველი ერის დიდება აკაკი უკვე გარდაცვლილი იყო თავის სოფ. სკვიტორში, მიეცა მეორენაირი შემთხვევა მისი სახელის სამკითხველოს გახსნისა და, აი, ამ შემთხვევის ამბავიც.

13 წელიწადია სოფ. ოფურჩხეთი უეკლესიოთ იყო. აქ შეენიერ მთაგორაზე აგებული ძველებური ეკლესია დაანგრის სიპატარავის გამო და ახლის აშენება დაიწყეს. 13 წელმა განვლო მის შენებაში და დღეს ძველის ალაგას შეენიერი კოხტა ღვთის სასამსახურო ტაძარი აგებული წმ. გიორგის სახელობისა. იგი მაღლობიდან გადმოაყურებს ქვემო იმერეთის ველ-მიდვრებს, შავი ზღვის პირებს და პირდაპირ ქვრეტს აქარის თოვლიან მთებს და რიონის ხეობას ამყათ დასცქერის, თითქოს გამეღელ-გამომეღელთ ეუბნება: აი, ძველ ნანგრევებზე, როგორი ახალი, ღვთის სადიდებელი ტაძარი აღმართეო. ამ ეკლესიის გალავნიდან რიდვის წყალღვარდნილსაც თავს დასხე-

რებიხართ და სტკებით ბუნების სიშენიერით.

29 იანვარს ამ ეკლესიის შემავალმა ხალხმა აქაურ ინტელიგენტ მკვიდრის ექვთიმე კვიციანიძის პირით მოიპატიუნა იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი, რომლის კარგი პირშესახვედრი მეგობარი იყო მიმპატივებელი ექვთიმე.

შენიერი ზაფხულისებური ამინდი იყო. ახლათ საკურთხათ გამზადებულ ეკლესიაზე 8—7 სოფლის 2000-3000-დი ხალხს მოეყარა თავი და მის მეუფებას ელოდენ. იმერეთის ღვდელთ-მთავარი ამ ეკლესიის კურთხევას აგერ ერთი წელიწადია გამზადებულია და რაღაც განგებამ ეს შემთხვევა 29 იანვარს, მთელი საქართველოსთვის სამგლოვიარო დღემდი შეაჩერა და ამ დღესაც ეპისკოპოზმა ქუთაისიდან ძლივს აიშვა თავი.

საქართველოსთვის ეს სამგლოვიარო დღე ოფურჩხეთის საზოგადოებისთვის ორნაირათ გამოსადეგი შეიქნა. ამ დღეს ღვდელთ-მთავარმა ქუთაისიდან ამოსულ კრებულოთ აკურთხა ახალი ეკლესია. წირვის შემდეგ, ის. კვიციანიძის წინადადებით მანვე პანაშვიდი გადიხადა მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ, ხორლო პანაშვიდამდი დეკანოზ ვასილ დოლაბერიძემ გააცნო ხალხს ყველასთვის გასაგებათ წარმოთქმულ სიტყვაში პოეტ აკაკის მოღვაწეობა ქართველი ერისთვის და აუხსნა მათ, თუ რა დიდებული ადამიანი დაკარგა დღეს ქვეყანამ, და როგორი სამგლოვიარო დღეა მთელი ქართველობისთვის აქაური ეკლესიის კურთხევის დღეო.

დამსწრე საზოგადოება, დიდი და პატარა ამ ამბის გაგონებაზე სმენათ ვადაიქცა. ამ დროს ტაძარშივე ბ. ის. კვიციანიძემაც ორიოდე სიტყვით მოაგონა ხალხს, თუ რა დიდებულ, საისტორიო-სამგლოვიარო დღეს მოხდა ამ სულიერ ტაძრის კურთხევა და განუცხადა დამსწრე მეზობლებს, რომ დღეს გადაცვლილ საქართველოს უდიდებულეს შვილის მგოსან აკაკის სახელობაზე იგი აარსებს თავის სოფელში სამკითხველს, რომლისთვისაც განებრივ საზრდას: ყურნალ-გაზეთების და წიგნების მოწოდებას უფასოთ ის კისრუდავს, ხალხს ამ მხრით სარჯს აარს გაუადვილებო. მხოლოთო, დაუმატა მან, ამ საგანმანათლებლო, სახალხო დაწესებულებისადმი უპირველესათ თქვენს თანაგრძნობას და ამ

თანაგრძნობის ერთმანეთ შორის გადავიგება-განმტკიცება სუჭარო და, აი, ამას ეტადეთო, დააბოლოავა, ხალხში მწიგნობრობის გულითადმა გამავრცელებელმა...

როცა კრებულის მიერ საღვთო წესების შესრულებამ, აკაკის მოღვაწეობის გაცნობამ და სამკითხველოს გახსნის შეპირებამ ასე დაინტერესა ამოდენა სმენელები, გათავების შემდეგ, ეკლესიის გაღივანში, ვინც აკაკის ვინაობა არ იცოდა, კითხულობდნენ: „ვინ უფილა, ბატონო, ეს შგოსანი აკაკი და, რადის გავგისხნათ მის ბაბღოთეკასო“. ამასობაში ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“ს გამგეის. კვიცარიძე უფასოთ ურიგებდა ხალხს ამ დღეს გამოსულ თფილისელ და ქუთათურ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს აკაკის შესახებ და როცა დამრიგებელს ესენი აღარ ეყო, შკოლის და ისე ბავშვებმა მას ხელიდან უცხო სტუმრებისთვის წასაკითხათ წამოღებული რუსული ჟურნალ-გაზეთები გამოსტაცეს და შიგ, რომ ნახატებს ნახულობდნენ, კითხულობდნენ: „ნეტა რამეღია შგოსანი აკაკიო“ და კიდე ელოდენ ამგვარ საჩუქრებს.

აკაკის სახელობის სამკითხველოს გახსნით ხალხი კიდე უფრო მაშინ დაინტერესდა, როცა იმ დღეს ღვდელთმთავარი გიორგი მისი კრებულოთ და ადგილობრივი სტუმრებით ექვთიმე კვიცარიძის ოჯახში მიიპატიჟეს. აქ სიამიანათ სადილობის დროს ებისეკოპოზმა დამსწრეებს ხელახლა მოახსენა, რომ დღეინდელი დღე თქვენთვის დიდებული დღეაო. დღეს ახალი ეკლესიის სახით თქვენ გაქვთ სასულიერო საზღო, ხოლო ახლა თქვენეივე თანამემამულე შეგბირდათ გონებრივ საზღოს მოწოდებასაც, იგი სამკითხველოს გიარსებთ დიდებულ შგოსნის აკაკის სახელობაზე და გირჩევთ ამ მის კეთილ განზრახვას თქვენ ხელი შეუწყოთ, ყოველნაირათ დაეხმაროთ და უთანაგრძნოთო, რათა აწ განსვენებული შგოსნის სახელი ამ სოფლის საზოგადოებაშიც დაუვიწყარი და უკვდავ ყოფილიყოსო, დააბოლოავა ღვდელთმთავარმა.

ამ ნიადაგზე და მასპინძლობითაც ნასიამოვნებმა ღვდელთმთავარმა გზა დაულოცა ოფურჩხეთლებს, მადლობა გამოუტყადა ეკლესიის ამშენებელ კომიტეტს, და უსურვა მათ

განზრახულ საქმის კეთილათ დავვირგინება და საღამოს ეტლით თავის კრებულიანათ გამოემგზავრა ქუთაისში, რიონის შვენეიერი ხეობით.

ამნაირათ, გაიფსკვნა სოფ. ოფურჩხეთში აკაკის სახელის პატივსაცემლოთ ერთი კულტურული საგანმანათლებლო დაწესებულების სამკითხველოს საძირკველი, რომელზედაც ახლო მომავალში უნდა აშენდეს ცოცხალი, მუდამ მეტყველი ძეგლი აკაკის სამკითხველოსი.

ამ ძეგლის ასაგები მასალა კი, გარდა გონებრივ საზღოს დაპირებისა, თვით ამ სოფლოთ გვეგულება. ესაა აქაურ შკოლის კეთილდღეობაზე მზრუნველი ადგილობრივი მკვიდრი ბ. ბაქტარ ავაღანი, რომელმაც, როგორც მოგახსენეთ, შკოლას ადგილი შესწირა. სოფელს მომავალშიც იმედი აქვს იგივე ქველმოქმედი ამ მეორე კულტურულ დაწესებულებასაც თავის უხვ ხელს გაუწვდის და აკაკის, რომელთანაც მას ხშირათ დრო გაუტარებია, მისი ტკბილი მუსაიფით და ოხუნჯობით სიამოვნება ახსოვს, — ამ დიდებულ მეგობარ ადამიანის აკაკის სახელობის სამკითხველოსთვის თვალსაჩინო წვლილს გაიღებს. სამკითხველოს ამ თავიდან, რასაკვირველია, შენობა ესაქიროება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბიქტარ ავაღიანი მისთვის ერთ თვლიან ხის შენობის აგებას არ დაიშურებს, რითაც უკვდავყოფს თავის სოფლის საზოგადოებაში აკაკის სახელთან ერთათ თავის სახელსაც... ამნაირათ, განიარება იმ ცოცხალი ძეგლის მოწყობის საქმე, რომელსაც ერქმევა საქართველოს დიდებული შვილის აკაკის სახელი. ისო.



შენდომის განწორება.

შკოლე ნუმერში შეცდამით არის დასტამბულია, აკაკი დაბადა 1859 წელს. უნდა იყოს 1840 წელს.

განთადის № 3 გვ. 13 სვეტის 1 სტრ. შკოლე შეკადან. დაწერილია, უწვევტს. უნდა იყოს, უწვევტს.

განთადის მეხუთე ნუმერში, გვ. 20 სვეტი 1. სტრ. 4 ქვედან დაწერილია, № 19. 192 სვეტ. უნდა იყოს: № 199. 12 სვეტ.

რედაქტორ-გამომცემელი ს. მჭედლიძე.

მიიღება 1915 წ. ჰირველ იანვრიდან ხელის მოწერა საბეჭ-
ნიერო, სალიტერატურო და საზოლიტიკო ჟურნალ

„გ ა ნ თ ი ა ლ“-ზე.

რომელიც გამოვა ორკვირისში ერთხელ სომხელის ხელმძღვა-
ნელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან.
30 კაპ., სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმე-
რი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახთა ნაწილ-ნაწილათაც შეუძ-
ლიათ. ხელის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს— 1 მან. და
პირველ ივნისს— 1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიღორე კვიცარიძესთან, თომა მთავ-
რიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ.
საზოგ. მდივანთან, ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბა-
ძესთან, ფოთში კოწია გამყრელიძესთან, ბათომში სოსიკო მდივანთან,
და კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману
Спиридоновичу Панцхава.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს :

ერთი წლით 8 მანათი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით — ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნათ შემდეგის ადრესით: ქუთაისი,
რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ეფველ კვირას ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების
გამოცემა დამოკიდებულია თანამკმნობთა რიცხვის გამწავლებასზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწო-
დონ მათი პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვა-
წეებს გვიგზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელ-
ნი, მათი საა ამ დღეებში გამოცხადება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.